15-ს ივლისს. № 14. 1885 წელსა.

# მწყემსი

ორ-კვირეული გამოცემა. ოფიციალური ნაწილი.

## გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ვისაც სურს გორის სასულიერო სასწავლებელში ბავშის შემოყვანა, თხოვნა უნდა წარმოადგინოს სასწავლებლის სამმართველოს სახელზედ აგვისტოს ოცდა ხუთამდის. მიღების მოსურნე ყმაწვილები, რომელთათვისაც საჭირო იქნება, გამოიცდებიან აგვისტოს ოცდა მეშვიდე დღეს; ყმაწვილები, რომლებსაც არ ექნებათ მეტრიკის მოწმობა წლოვანებაზე და აგრეთვე ყვავილის ხდისა ან აცრის მოწმობა, სასწავლებელში არ მიიღებიან.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი დავით დათოშვილი.

---

## ცირკულიარული მიწერილობა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოზის პავლესი, საქართველოს ეგზარხოსისა, 2-ს ფებერვლიდამ 1884 წ. ქართლის ეპარქიის სამღვდელოებისადმი.

ქართლის ეპარქიის მთავრები და მედავითნენი, რომელთაც მიუღიათ მცირე განათლება ოთხ კლასიან სასულიერო ანუ სამოქალაქო დაბალ სასწავლებლებში, ანუ რომელთა სრულებით არ მიუღიათ არა-ვითარიმე განათლება, მხოლოდ სახლში შეუსწავლიათ კითხვა, გალობა და წერა, რამოდენიმე წლის სამსახურის შემდეგ მთავრის ანუ მედავითნეთა თანამდებობაში, სთვლიან თავიანთ თავს ღირსეულად, რათა ხელ დასხმულ იქმნენ მღვდლად, ამიტომ მოიქცევიან ხოლმე ჩემდამო და ითხოვენ მღვდელობას, თუმცა არავითარი ცოდნა არა აქვსთ მღვდლის სამსახურისა და მისი მოვალეობისა და არ აქვსთ შესწავლილი უბრალო კატეხიზმური ცნობები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ზნეობაზე.

ამისთანა პირების მღვდელობის ადგილებზე განწესებას, რომელიც აქამომდე, საჭიროებისა გამო ხდებოდა, მოსდევს მეტად დამღუპველი შედეგი საქართველოს ეკკლესიისათვის: მთლად გაუნათლებელ მღვდლებს არ აქვსთ არაფერი კეთილი გავლენა თავის სამწყსოზე, ამისთანა მღვდლები ვერ ნერგავენ სამწყსოში კეთილ სწავლას და მართლ-მორწმუნეობას, ვერ ამხილებენ სამწყსოს ცუდს და ცოდვილ მოქმედებათა.

ამისთანა მღვდლები, როგორც ბრმა წინამძღოლნი ბრმათა, თავიანთი დამწყსული სულიერი ბრმებით იღუპებიან სულიერად.

ამიტომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამისთანა სამარცხვინო და დამღუპველ წესს-წყობილებას. რომ შემდეგში საქართველოს ეკკლესიას ჰყავდეს უფრო კარგი მღვდლები, ჩემგან მიღებულ იქნება შემდეგი ზომები:

1) დამსახურებული მთავრების და მედავითნეთა მღვდელობის ადგილზე განწესების დროს, უპირატესობა მიეცემათ მათ, რომელნიც ნამდვილ კაი ყოფაქცევის და სასწავლებლებში სწავლა მიღებულნი აღმოჩნდებიან და ჩემგან გამოცდის შემდეგ რუსულ ენაზე გამოიჩენენ საფუძვლიან ცოდნას კატეხიზმოში, მართლ-მადიდებელი აღსარების მოკლე საღმრთო და საეკკლესიო ისტორიაში, ღვთის მსახურების სწავლაში და მღვდელობის მოვალეობის ცოდნაში.

2) მეორე ადგილი ამ პირებს შემდეგ ეჭირებათ იმ პირთ, რომელთაც არ შეუსრულებიათ კურსი სასულიერო ოთხ კლასიან სასწავლებლებში, მაგრამ უსწავლიათ კი ამისთანა სასწავლებლებში და რომელნიც გამოცდის შემდეგ რუსულს ენაზე გამოიჩენენ ზემო მუხლში მოხსენებულ ცოდნას.

ყველა ამ პირებმა, მოხსენებულთ ორივე მუხლში, გამოცდის დროს ჩემი თანა დასწრებით უნდა გამოიჩინონ ნიჭი და გამოცდილება ქართულ და რუსულ ენაზე ნაბეჭდი ქადაგებაების გაგებით და საფუძვლიანად კითხვაში.

3) იმ მთავრებს და მედავითნეთ, რომელთაც არ უსწავლიათ ოთხ-კლასიან სასწავლებლებში და მხოლოდ იციან ქართულად საღმრთო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკკლესიო წიგნების კითხვა, შეუძლიათ მიიღონ მღვდელობის ადგილები მცირე სამრევლოებში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი გამომცდელი კომიტეტის წინაშე გამოიჩენენ ქართულს ენაზე იმავე ცოდნას, რომელიც ითხოვება იმ მღვდლებიდამ, რომელნიც მოხსენებულნი არიან პირველს და მეორე მუხლებში და შეეძლებათ ქართულს ენაზე ნაბეჭდი ქადაგებაების თავისუფლად და გაგებით კითხვა.

პირნი, რომელნიც ვერ დააკმაყოფილებენ ზემო აღნიშნულ მოთხოვნილებათა, არ შეუძლიათ მიიღონ მღვდელობის ადგილები.

მთავრები და მედავითნენი, რომელთა სურთ ჩაირიცხონ კანდიდატებთა რიცხვში მღვდელობის თანამდებობაზე, შეუძლიათ ადრითვე დაიჭირონ ეგზამენი ჩემთან, ხოლო მარტო ქართული ენის მცოდნეთ,—კომიტეტთან. აღნიშნულის საგნების შესწავლა მსურველთ შეუძლიათ იმ წიგნების საშუალებით, რომელნიც მოიპოვებიან სინოდალნი კანტორის წიგნთ საწყობში.

---

## ცირკულიარული მიწერილობა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოზის პავლესი, საქართველოს ექსარხოსისა 5-ს ფებერვლიდამ 1884 წ. ქართლის ეპარქიის სამღვდელოებისადმი.

მთელს რუსეთის სახელმწიფოში მხოლოდ ერთ სახელმწიფო მართლ-მადიდებელ ეკკლესიას აქვს უფლება შთააგონოს არა მართლ-მადიდებელთ ქრისტიანეთ და სხვა რჯულის აღმსარებელთ, რომ მათ მიიღონ ამ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლა სარწმუნოებაზე. სხვა ქრისტიანეთა და სხვა რჯულის აღმსარებელთ, როგორც სასულიეროთ, აგრეთვე საეროთ სასტიკად აღეკრძალებათ შეხება იმ პირთ სარწმუნოებისა და რჯულისა, რომელნიც არ ეკუთვნიან მათ სარწმუნოებას; წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი დასჯილ იქნებიან იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია სისხლის კანონების 1 კრებ. ტ. XI, ნაწ. I, მუხ. 4, გამოცემული 1857 წ. ამ ნაირად რუსეთის იმპერიის კანონები არა თუ მარტო იფარვენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას სხვა ქრისტიანეთა და სხვა რჯულის აღმსარებელთა დევნისაგან და ამ ეკკლესიის ჭეშმარიტ სარწმუნოებას შერყევისაგან, არამედ ამტკიცებენ მართლ მადიდებელი ეკკლესიის განსაკუთრებით უფლებას მოაქციოს მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისადმი სხვა ქრისტიანენი და არა ქრისტიანეთა სარწმუნოების აღმსარებელნი.

მივაქცევ რა ქართლის ეპარქიის სამღვდელოების ყურადღებას ამ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის უფლებებზე, ვამცნებ მას შემდეგს: 1) რათა იგი ზრუნავდეს არა მხოლოდ თავის სამწყსოს დაცვას, რომ იგი არ ჩავარდეს მწვალებლობაში, ერესში და სხვა სარწმუნოებაში, არამედ სამღვდელოება უნდა ზრუნავდეს შთაგონებით და დარიგებით არა მართლ-მადიდებელ და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა მოქცევასაც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე; 2) ადევნოს ყურადღება, რომ არა მართლ-მადიდებელთ და სხვა რჯულის აღმსარებელთა თავიანთი ცრუ სარწმუნოება არ გაავრცელონ არა თუ მხოლოდ მართლ-მადიდებელ მორწმუნეთა შორის, არამედ სხვა აღმსარებელთა და რჯულის მექონეთა შორისაც, რომელნიც არ ეკუთვნიან მქადაგებელთ სარწმუნოებას, ე. ი. იმ სარწმუნოებას, რომელსაც აღიარებენ მქადაგებელნი რომელიმე სარწმუნოებისა. ამ რიგად სამღვდელოება ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ რომის კათოლიკებმა და პროტესტანტებმა არ გაბედონ თავიანთი სწავლის ქადაგება სომხებთ, რუსების ძველი რჯულის მჭერთ (старообрядцы), მალაკნებთ და სხვათა სექტანტთა, მაჰმადიანთა, ებრაელთა და კერპთ-თაყვანის მცემელთა შორის. აგრეთვე სომხებს არ აქვსთ უფლება უქადაგონ თავიანთი სწავლა იმ ხალხთ, რომელნიც არ აღიარებენ მათ სარწმუნოებას. განსაკუთრებით სამღვდელოება ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ სხვა სახემწიფოთ ქვეშევრდომ მისიონერებმა არ გაბედონ თავისი ცრუ სწავლის გავრცელება არა მხოლოდ მართლ-მადიდებელ მორწმუნეთა შორის, არამედ არა მართლ-მადიდებელ და სხვა რჯულის აღმსარებელთა შორისაც. XI ტ. I ნაწ. 6, 109, 110 და 115 XIV წესდ. ტ. შესაჩ. და მოსასპობლად დამნაშაობათა, არა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა შეუძლიათ თავიანთი სარწმუნოებიდამ გადვიდენ სხვა სარწმუნოებაზე, ხოლო ებრაელთ, მაჰმადიანთ და კერპთ-თაყვანის მცემელთ შეუძლიათ მიიღონ არა მართლ-მადიდებელი სარწმუნოება თავის სურვილით, იმ სარწმუნოების სამღვდელოების და საერო პირთ ძალ დაუტანებლად და შთაუგონებლად, რომელ სარწმუნოებაზედაც ისინი

გადადიან. სხვათა აღმსარებელთ და სხვა რჯულის მისიონერთ და მქადაგებელთა კანონით სასტიკად აღეკრძალებათ მოქცევა თავის სარწმუნოებაზე არა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და სხვა რჯულის მექონეთა—ებრაელთა და მაჰმადიანთა; 3) იმ შემთხვევაშიც კი, როცა თვით არა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთ და სხვა რჯულის აღმსარებელთა შორისაც გამოჩნდებიან არა მართლ მადიდებელი სწავლის მქადაგებელნი, განსაკუთრებით სხვა ქვეყნელები, არა რუსეთის ქვეშევრდომნი,—მართლ მადიდებელი ეკკლესიის მღვდლები დაუყოვნებლივ უნდა მიიქცენ უმახლობელეს პოლიციის მთავრობასთან და ზემო ნაჩვენები კანონების ძალით სთხოვონ პოლიციის მთავრობას, რომ საჩქაროდ მოსპობილ იქნეს ქადაგება და ამავე დროს დაუყოვნებლივ მომახსენებდენ მე ამისთანა მქადაგებლებზე, რათა მივიღო ჯეროვანი ზომები ამ მქადაგებელთ მოტანილი ვნების მოსასპობლად.

დარწმუნებული ვარ, რომ სამღვდელოება გულს-მოდგინებით და თავის გამოდებით აღასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც მოითხოვს მისგან მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ყველა ინტერესების დაცვას.

---

მიწერილობა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოზის პავლესი, საქართველოს ექსარხოსისა გამომცდელი კომიტეტისადმი 30 იანვრიდამ 1885 წ. № 375.

15 იანვარს ქ. თბილისში მომხდარმა ქართლის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ განიხილა რა კითხვა არა-სასაყოფელის რელიგიურზნეობრივს მდგომარეობაზედ საქართველოს ხალხისა, რომელიც თითქმის სრულიად არ დაიარება საღმრთო ტაძრებში და, თუ დაიარება, გულ-გრილად ეკიდება და არ მონაწილეობს მღვთის მსახურებას, გალობას და საეკკლესიო კითხვას, — გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ამ მოვლენის მიზეზს, სხვათა შორის, შეადგენს ის, რომ საქართველოს ეკკლესიებში საეკკლესიო და საღმრთო წიგნებს ვერ კითხულობენ გაგებით და გარჩევით და არ ისმის გულის და სულის დამატკბობელი გალობა, ამიტომკრება თავისი ჟურნალური დადგენილობით მთხოვს მე, რათა შთავაგონო გამომცდელ კომისიას, რომ მან სასტიკად გამოცადოს ქართულ საეკკლესიო წიგნების კითხვაში და საეკკლესიო გალობის ცოდნაში ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მედავითნეთა ადგილები.

ზემო აღნიშნულთა საფუძვლით და გარდა ამისა, რომ ამაღლებულ იქნეს რელიგიურ ზნეობრივი მდგომარეობა ხალხისა, რომელსაც ეხლა არაფერი არ იზიდავს ეკკლესიაში, განუმეორებ გამომცდელ კომმისიას, რომ რაც შეიძლება სასტიკად გამოცადოს მედავითნენი და მთავრები ქართულ საღმრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვაში და საეკკლესიო გალობის ცოდნაში.

---

# წესდება

მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა უმაღლესად დამტკიცებულ არს ფებერვლის მეათე დღეს ჲ მარტის მეცხრე დღეს 1885 წელსა.

## თავი 1.

### საზოგადო დადგენილობანი.

§ 1. საზოგადოებას აქვს მიზნად აღადგინოს მართლ მადიდებელი ქრისტიანობა კავკასიის მთიულ ხალხში.

§ 2. საზოგადოება იმყოფება მისი იმპერატორებითი დიდებულების დიდის მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის მფარველობის და უწმიდესი სინოდის გამგეობის ქვეშ.

§ 3. უმახლობელესი გამგე ამ საზოგადოების საქმეებისა არის საქართველოს ექსარხოსი, როგორც მისი თავსმჯდომარე.

§ 4. ყოველივე განკარგულებითი მოქმედებანი ექვემდებარებიან ამ საზოგადოების რჩევას.

§ 5. საზოგადოებას აქვს თავის ბეჭედი რუსეთის იმპერიის ღერბით და შემდეგი წარწერით: ბეჭედი კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა.

## თავი II.

### I. წევრნი საზოგადოებისა.

§ 6. კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება შესდგება:

საპატიო წევრებისაგან, ნამდვილი წევრებისაგან, თანამშრომელი წევრებისაგან და თავს-გამოდებითი წევრებისაგან.

§ 7. წევრნი საზოგადოებისა, თანახმად თავიანთი წოდებისა, ვალდებულნი არიან გადიხადონ: პირველმა რიგისამ (საპატიო წევრებმა) 250 მ., მეორე რიგისამ (ნამდვილი წევრებმა) 150 მ. და მესამე რიგისამ (თანამშრომელი წევრებმა) 50 მან.

ნაცვლად ყოველ-წლიური წევრების შემოწირულებათა, ზემო აღნიშნულ მუხლებში მოხსენებულ რიგთა, შეიძლება შეტანილ იქნეს კაპიტალი: თვითოეული პირველი რიგის წევრისაგან 2,500 მან., მეორესაგან — 1,500 და მესამე რიგის წევრისაგან 1,000 მანეთი.

თვითოეული მეოთხე რიგის წევრი (თავს-გამოდებითი წევრნი) ვალდებული არის შემოიტანოს ერთ დროებითად 50 მანათი.

ყველა პირნი, რომელნიც ერთ-დროებითად შემოიტანენ საზოგადოების სასარგებლოდ კაპიტალს ნაღდი ფულებით ანუ სახელმწიფო სასარგებლო ქაღალდებით, ზემო-აღნიშნულ რაოდენობით, იწოდებიან საზოგადოების მუდმივ წევრებად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირთ, რომელნიც მეოთხე რიგის წევრებად ირიცხებოდენ 16 ივნისამდის 1868 წლისა, აქვთ უფლება შემოიტანონ ერთ-დროებითად 50 მან., ანუ ყოველ წლობით შემოიტანონ იმ წესით და იმდენი, რამდენიც იყო ზემო მოხსენებულ ვადამდის, ე. ი. თვითოეულმა 20 მ. წელში.

§ 8. საზოგადოების წევრებად მიიღებიან პირნი ორივე სქესისა და ყველა წოდებისა. წევრების რიცხვი არ არის განსაზღვრული.

§ 9. საზოგადოების წევრნი მტკიცდებიან ამ თანამდებობაში უმაღლესი მთავრობისაგან, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენილობით და იღებენ დიპლომებს, ხელ მოწერილს თავს მჯდომარისაგან, თავს-მჯდომარის მოადგილისაგან, ჯეროვანად დამტკიცებულს და საზოგადოების ბეჭედ დასმულს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირველი და მეორე რიგის წევრთა, ის ნიშნები, რომელნიც დადგენილნი არიან ამ საზოგადოების წევრთათვის, შეიძლება ატარონ ბრწყინვალე ყვავილის ფერ ლენტით ყელზე დაკიდებული, მესამე და მეორე რიგის ნიშნები წვრილ ყვავილის ფერ ლენტით დაიკიდება გულის მარცხენა მხრივ შემდეგ ორდენებისა და მენდლებისა.

§ 10. ნამსახურობა საზოგადოების იმ წევრთა, რომელნიც თავისი შრომით ანუ შეწირულებით განსაკუთრებით ხელს უწყობენ კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან, საზოგადოების რჩევის შუამდგომლობით, წარდგინდებიან ხელმწიფე იმპერატორისადმი.

§ 11. საზოგადოების წევრნი, რომელნიც არ აღასრულებენ იმ ვალდებულებათ, რომელნიც მოხსენებულნი არიან § 7, გამოირიცხებიან წევრობის თანამდებობისაგან.

II. რჩევაზე და ამ საზოგადოების წლიურ შეკრებილებაზე.

§ 12. საზოგადოება ყოველივე შემთხვევაში მოქმედობს თვის შორის აღრჩეული რჩევის წინამძღოლობით. წლიური საზოგადო შეკრებილება ამ საზოგადოების წევრთა ინიშნება რჩევისაგან საზოგადოების მოქმედების ანგარიშის მოსასმენად, სარევიზიო კომისიის და რჩევის 4 წევრის ასარჩევად. ამ საზოგადოების ყველა რიგის წევრთ შეუძლიათ დაესწრონ საზოგადო წლიურ შეკრებილებაზე ხმის უფლებით.

§ 13. რჩევა გარდა თავს-მჯდომარის, საქართველოს ექსარხოსისა, შესდგება: თავს მჯდომარის მოადგილესაგან, რომელსაც ნიშნავს მთავარ მართებელი კავკასიის სამოქალაქო ნაწილისა, და რვა საზოგადოების წევრისაგან; ამათში 4 წევრი ინიშნება რჩევის თავს მჯდომარისაგან, ხოლო დანარჩენი 4 სამი წლით აღირჩევიან ამ საზოგადოებისაგან წლიური შეკრებილების დროს.

§ 14. საზოგადოების რჩევის საქმეები სწარმოებენ საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში, და საქმის წარმოების ხარჯების დასაფარავად ამ საზოგადოებისაგან ინიშნება საზოგადოების საშუალებათაგან განსაზღვრული ფული.

§ 15. რჩევა იკრიბება შეხედვისამებრ თავს-მჯდომარისა და მიხედვისამებრ საქმეების რაოდენობისა, სიჩქარისა და საჭიროებისა, რომელნიც ითხოვენ რჩევისგან განხილვას.

§ 16. რომ რჩევის სხდომა შესდგეს, საჭიროა ორი წევრის დასწრება თავს-მჯდომარის გარდა.

§ 17. რჩევას აქვს უფლება მოიწვიოს თავის სხდომებზე, საჭირო კითხვების განხილვის დროს, გარეშე პირნი, რომელთა აზრი სასარგებლო და საჭირო იქნება.

§ 18. საქმეები, შემდეგ რჩევაში განხილვისა, გარდასწყდებიან ხმის უმეტესობით. იმ შემთხვევაში, თუ თავს-მჯდომარე არ დათანხმდება რჩევის უმეტესი წევრების დადგენილობას, საქმე წარდგინდება უწმიდესი სინოდის განსახილავად.

(დასასრული შემდეგში).

15-ს ივლისს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 14.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## ჩვენი ეკკლესიების შინაგანი და გარეგანი მორთულობა.

Iყო დრო, როდესაც საქართველოს ეკკლესიები თავის შინაგანი და გარეგანი მორთულობით ყველა მნახველს აკვირვებდა და მათში (ეკკლესიებში) შემსვლელნი კრძალულებაში მოდიოდენ. ამ ეკკლესიებს არ აკლდათ არც გარეგანად და არც შინაგანად მშვენიერება და სიმდიდრე. დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც განათლებამ კარგა წინ წაიწია, მრავალნი მაინც გაოცებით უცქერიან ჩვენი ზოგიერთი ეკკლესიების ძველ ხელოვნებას და მის მსგავსს ველარაფერს აკეთებენ. მაგრამ ყოველ კუთხიდან შემოსეულმა მტერმა შემუსრა, თითქმის, ეს გასაოცარი ხელოვნებით ნაშენნი ტაძარნი და ცეცხლს მისცა ეკკლესიების ყველაფერი შინაგანი მორთულობა. ამას მოწმობენ თითქმის ყველა გორაკზე დაქცეულნი ტაძარნი. ჩვენ იმ შესანიშნავ ეკკლესიათაგან დაგვრჩა მარტო დაქცეული კედლები.

Გარეგანი მტრები არა თუ ეკკლესიების დაქცევას ემუქრებოდენ ჩვენს ხალხს, არამედ მთლად ამ ხალხის მოსპობას ლამობდა საქართველოში. ერთი მუჭა საქართველოს ხალხი ებრძოდა ურიცხვ გარედამ შემოსეულ მტრებს და ღვთის მადლით მაინც ვერ დასძლია მტერმა მას. საქართველოს ერთიღასაშუალება რჩებოდა: ეს საშუალება იყო ის, რომ შეერთებოდა იგი მეორე მართლ-მადიდებელ ძლიერ ხალხს. საქართველოს, შემდეგ რუსეთთან შეერთებისა, მტრები მოშორდა. საქართველომ დაისვენა და შეუდგა იხევ თავისი დაქცეული და დამწვარი ეკკლესიების ხელ-ახლად აგებას და გამშვენებას. მრავალი ეკკლესიები განახლდენ, აშენდნენ და მოირთნენ, თუმცა ძველი გასაოცარი ხელოვნებით არა, მაგრამ იმ ხელოვნებით, რომელიც დღეს არსებობს.

Მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა მორთულ და შემკობილ ეკკლესიებს შეხვდება კაცი მარტო ქალაქებში და, ძლიერ იშვიათად, ზოგიერთ სოფლებში. დანარჩენნი ეკკლესიები კი სწორედ სამწუხარო მდგომარეობაში არიან. აი სოფლის მრავალი ეკკლესიების შინაგანი და გარეგანი მორთულობა: ხის ანუ ქვის უბრალო და უპლანო შენობა, გარღახურული ყავრით, რომელშიც თავისუფლად ჩადის წყალი ყოველ წვიმის დროს. სიგრძე და სიგანე ამა ეკკლე-

სიების შენობათა არ აღემატებიან ათიდამ ოცს და ხუთიდამ ათ არშინს. ქარი და სინათლე ხის ეკკლესიებში თავისუფლად შედიან. მათ არა აქვსთ ფანჯრები და არც რიგიანი კარები. ტრაპეზს ჰყოფს საკაცებოდამ უბრალო აყუდებული ფიცრები, რომლებზედაც აღსავლის კარების აქეთ-იქით ჩამოკიდებულია მაცხოვრის და ღვთის-მშობლის ხატები, ფიცრებზე დახატულნი. მრავალს ადგილას, თითქმის, მთელს კანკელს ამკობს ეს ორი, ანუ სხვა კიდევ სამიოდე ხატი. ტრაპეზის მორთულობა: ტრაპეზი დაფარულია უბრალო ჩითით; ზედ სდევს შეუმოსელი სახარება და ორი უბრალო თითბრის შანდლები. ბარძიმ ფეშხუმი დღესაც ბევრგან უბრალო კალისაგან გაკეთებულნი არიან. ერთი პატარა ზარა. მღვდლის შესამოსელი ხშირად ძველი, დახეული და მოკლე. აი, როგორც ზევით ვსთქვით, მრავალი სოფლის ეკკლესიების მდგომარეობა და მორთულობა ჩვენში.

რამ უნდა მიიზიდოს ამისთანა ეკკლესიებში ხალხი? რამ უნდა ჩაუნერგოს მლოცველ ხალხს კრძალულება? რამ უნდა მოიყვანოს იგი ლოცვის დროს გრძნობაში? ჭეშმარიტად გასაკვირველი არის, რომ ჩვენი ხალხი კიდევ დადის ამისთანა სოფლის ეკკლესიებში.

ამ რამდენიმე წლის წინად მე შემხვდა შესვლა ერთ სოფლის ღარიბ ეკლესიაში. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა სურათმა, რომელიც იყო მიკრული კანკელზე, ღვთის-მშობლის ხატის გვერდით. ვკითხე მღვდელს და სტაროსტას, თუ რა დროიდგან არის ეს სურათი ეკკლესიაში, ან ვინ მოიტანა ის იქ? მღვდელმა განაცხადა, რომ ეს სურათი შემოსწირა ერთმა ჩემმა მრევლთაგანმა, რომელიც ტფილისში სცხოვრებდაო. სურათი, მღვდლის აზრით, წარმოადგენდა ანგელოზების სურათს და რადგან სხვა ხატები არ არის ეკკლესიაში, ამ ქაღალდზედ დახატული, ვითომ, ანგელოზების სურათი მიეკრათ ფიცარზე და ყოფილა ეკკლესიაში დიდი ხნიდამ. ახლა არ იკითხავთ, მკითხველო, თუ რა არის ეს სურათი? ამ სურათს ძირს აწერია რუსულად შემდეგი: «съ дозволенія начальства извѣстная труппа акробатовъ будетъ имѣть честь дать сего мѣсяца 29 числа, т. е. въ воскресеніе представленіе въ слѣдующихъ трехъ отдѣленіяхъ: 1-ое отд.: разные новые и трудные танцы на тугомъ канатѣ; 2-ое Г. Жанъ Паулъ и дѣвица Жозефина Ламбергеръ будутъ въ первый разъ на двухъ паралелльно натянутыхъ канатахъ танцовать па-де-де; 3-ое: молодой Ламбергеръ будетъ танцовать Экосесъ и пр»... შემდეგ არის მოყვანილი ფასი ადგილებისა. ეს ბაწარზე მოთამაშენი (ჯამბაზები) არიან დახატულნი ქაღალდზე და ამათ მლოცველები რაცხდენ, თურმე, ანგელოზებად.

აი სანამდის მიაწწევს სოფლების ზოგიერთი ეკკლესიების სიღარიბე. ზემოხსენებული სურათი მაშინვე იყო ჩამოხსნილი და მღვდელსაც შესაფერი დარიგება მიეცა.

(დასასრული შემდეგში.)

---

## მ წ ა რ ე ფ ი ქ რ ე ბ ი.

### II.

ვდგევარ დაქცეულ ძველი სობოროს წინ, დაქცეული ციხის კედელზე და თითქმის მთელს ქუთაისს დავჰყურებივარ. რა მშვენიერი დასანახავია მაინც ქუთაისი ამ ალაგიდამ!.. რიონი როგორც ზევიდამ, ისე ქალაქშიც ერთი დაუღალავით მიმდინარეობს; არ აძლევს განსვენებას მცხოვრებლებს და ბევრს ძილსაც უტეხს, მაგრამ მის ხმას შეჩვევიან და ტკბილად სძინავთ მის კიდეებზე დასახლებულ მცხოვრებლებს.

თქვენ გვერდით ხედავთ უზარ მაზარ დაქცეულ ეკკლესიას, რომლის ზოგიერთი დაშთენილი კედლები მოწმობენ ძველად ქართველების ცხოვრებას, მათ დიდებას და გამჭრიახობას... ამ ძველი ეკკლესიის ხილვა რამდენ მწარე ფიქრებს ჰბადავს მნახველის გულში, ვინ მოსთვლის? მოვაშოროთ თვალი ამ ნანგრევს და ეხლანდელ ქუთაისს შევხედოთ. აბა რა სანახავს წარმოგვიდგენს... ამ უშველებელ ეკკლესიის კედლებზე არის მიშენებული პატარა ეკკლესია, რომელიც უკანასკნელ დრომდე იყო საკათედრო სობორო და დღეს ზედ მიწერილია სხვა ეკკლესიაზე. მიიხედავთ აღმოსავლეთისაკენ თუ არა, თქვენ თვალის წინ წამოჯგიმულია ფრანგების მშვენიერი სამგუმბათიანი ტაძარი. ზარეშემო ამ ეკკლესიას აქვს საკმაოდ მშვენიერი სუფთა ეზო, რომელშიც აქაიქ ამაყად ასვეტულან კიპაროსის ხეები. ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვითკირის კედელი მაღალი და მტკიცე. ეზოში აშენებულია სამი ორ-ორი და თითო სართულიანი ქვითკირის შენობები. ვინ სდგას ამ სახლებში? პირველში სახლობს ფრანგების მღვდე-

ლი, მეორეში ვაჟების სკოლა არის გახსნილი და მესამეში ქალებისა. ეკკლესიის ეზოში ბავშვების ცქრიალი და თავისუფალ დროს თამაშობა მაყურებელთ გულს ატკბობს. მათთვის ეკკლესია სკოლად არის თითქმის გარდაქცეული. ეკკლესიიდამ სკოლაში და სკოლიდამ ეკკლესიაში ხშირი მსვლელობა აქვს ბავშვებს. აქედამ ეჩვევა ფრანგი ეკკლესიაში ბეჯითად სიარულს და ეკკლესიის სიყვარულს.

როგორც ქუთაისის ერთ დღიურ აღწერაში ვკითხულობთ, ფრანგები ქუთაისში ბევრნი არ არიან.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ ეკკლესიაზე არის ერთი მღვდელი მარტო და ამ საქმეს ჩადიან ასე მცირე რიცხოვანი ფრანგები...

ცოტა ზემოთ თვალ-წინ გიდგებათ მშვენიერი ნაშენი ეკკლესია სომხებისა. აქაც იმისთანა მშვენიერი გალავანი და სუფთა ეზო. აქაც მშვენიერი შენობა ეკკლესიის კრებულთა და სკოლისთვის. აქაც სამრევლო სკოლა და დაახლოვებითი ცხოვრება მოზარდე ყრმათა თავიანთ მღვდელთან და ეკკლესიური აღზრდა... იცით რამდენია სომხობა ქუთაისში?

სოფლის მღვდელი.

## სასულიერო კონსისტორიათა ახალი წესდებულების დაბეჭდვის შესახებ.

გაზ. «კავკაზი» მოგვითხრობს, რომ მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლეს შუამდგომლობით სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება სინოდალნი კანტორამ გადათარგმნაო ქართულს ენაზე და მალე დაურიგდება სამღვდელოებასაო. აი ამ საქმის გარემოება: 1883 წელში უწმიდესმა სინოდმა გამოსცა ახლად გადახედული და შედგენილი კონსისტორიათა წესდებულება და გარდასწყვიტა წესდებულება დარიგებულიყო ყველა ეკკლესიებზე და მღვდლებზე. ჩვენ ჩვენს გამოცემაში ამ წესდებულების შესახებ აღვადგინეთ კითხვა და ვამბობდით, რომ ეს წესდებულება ქართულს ენაზე გადათარგმნილი დარიგებოდა ეკკლესიებს და სამღვდელოებას, რადგან რუსული ენა ყველა ჩვენმა მღვდლებმა არ იციან და ამ წიგნით ვერც ისარგებლებდნენ. მაღალყოვლად სამღვდელომ საქართველოს ექსარხოსმა პავლემ მიაქცია ყურადღება ამ ჩვენს შენიშვნას და მოითხოვა უწმიდესი სინოდისაგან ნება-რთვა, რომ ეს წესდებულება ქართულად გადათარგმნილი დარიგებოდა სამღვდელოებას. საქ.-იმერეთის სინოდალნი კანტორამ გადათარგმნა ამ წესდებულებისა მოგვანდო ჩვენ. ქართული თარგმანის განხილვა და გასწორება კანტორამ მიანდო იმერეთის ეპისკოპოზსს გაბრიელს. თარგმანი, ჩვენგან გათავებული, წარუდგინა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპის. გაბრიელს, რომლის მოწონებული და ნება დართული ამ დღეებში მივიღეთ უკანვე. სინოდალნი კანტორამ ამ წესდებულების დაბეჭდვაც ჩვენ მოგვანდო. ჩვენ ამ დღეებში უნდა დავიწყოთ ბეჭდვა და, იმედი გვაქვს, მალე გავათავოთ. ფასი თითოეული ეგზემპლიარისა დანიშნულია 40 კ. უნდა დაიბეჭდოს ეკკლესიებისათვის 1300 ეკზემპლიარი. ჩვენ კერძო პირთათვისაც ვაბეჭდვინებთ 300 ეკზემპლიარამდე, რომლის ფასი 40 კ. არ აღემატება. სასულიერო პირთათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმისთანა წიგნის ქონება, რომელშიაც მოყვანილი არის ყველა წესდებულება სასულიერო წოდების მმართვაზე, ქრისტიანობის გავრცელებაზე და სხვანი. ამისთანა წიგნი არის ეს სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება და მხოლოდ დღეს ურიგდება ჩვენს სამღვდელოებას ამისთანა საჭირო და სასარგებლო წიგნი.

რედაქტორი.

## წერილები თიონეთის მაზრიდამ.

### I.

თიონეთი თუმცა ისე მიგდებული, მიუვალი მხარე არ არის, როგორც, მაგ. სვანეთი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ყველასაგან დღევანდლამდე დავიწყებული და ქვანასროლი დარჩომილა. თიონეთის მაზრა ითვლება საქართველოს ერთ გაუნათლებელ კუთხედ. ბრწყინვალე მზის სხივებს ხალხი ვერ გამოუფხიზლებია და განათლების კარის გაღება ჯერ მას არ ღირსებია. თავის ღვიძლ ძმას ქართლელს და კახელს ძალიან უკან ჩამორჩომია როგორც გონების განვითარებით, აგრეთვე რელიგიურ მხრითაც. მართალია, მისი მოძმეებიც დღეს სანატრელს არას წარმოგვიდგენენ, ისინიც რამდენიმე საუკუნით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორებულან განათლებულ ხალხს, მაგრამ მაინც-და-მაინც მათი გონებითი ჰორიზონტი უფრო ვრცელია. ბევრი კერპული, მამა-პაპური ჩვეულებანი, ცრუ მორწმუნოებანი, რომლებიც პირქვე ამხობენ მათ ოჯახობას და მით გაბეჩავებულს უფრო აბეჩავებს ეკონომიურის მხრით. ამისთანა მამა-პაპური ჩვეულებანი და ცრუ მორწმუნეობანი სხვა საქართველოს მხარეებშიაც არის გავრცელებული, მაგრამ თიონელი კი უფრო ღრმად ჩაუთრევია ამ ჩვეულებას და იმასაც ისე მაგრად მოუჭიდნია ხელი ამ ჩვეულებაებისთვის, რომ მარტო ამ ქვეყნიურ ცხოვრების შემდეგ თუ გაეყრება მათ, თორემ თავის ცოცხალი თავით იგი არ უღალატებს წინაპართ. «ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესიაო», გესმის თიონელი კაცისგან. დიახ, როდესაც მათ თავიანთი კერპული ჩვეულებანი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასთან მკვიდრად შეუერთებიათ და მეთერთმეტე მცნებად გარდაუქცევიათ, რასაკვირველია, აქ კაცი მარტო ცარიელი ლიტონი სიტყვით ბევრს ვერას გახდება, უკეთუ ხალხში არ დამყარდა ნამდვილი ჭეშმარიტი, ქრისტიანული სწავლა-განათლება. დროებით თავი დავანებოთ ფშავ-ხევსურეთს, რომელიც აგრეთვე შეადგენს თიონეთის მაზრას. დავიწყოთ ლაპარაკი კერძოდ თიონეთზე. თიონეთს შედარებით ფშავ-ხევსურეთთან უჭირავს ვაკე ალაგი და რაჭასავით ჩავარდნილია; ოთხ-კუთხივ იგი შემოზღუდულია ცივ-გომბორის მთის შტოებით. შუაში ჩამოუდის ცელქი მდ. იორი და მის ნაპირები სოფლებით არის გაშენებული.

თუ როგორ მიუღია სახელი თიონეთს და იორს, ამაზედ ხალხში არსებობს შემდეგი ლეგენდა: თურმე ეხლანდელი ადგილი თიონეთისა, ამბობს ხალხური გადმოცემა, წარმოადგენდა ერთ დროში ტბას, ფშაველიდგან (სოფ. არტნიდგან) დაწყებული ვიდრე ბოკონის მთამდე, სადაც თავდება თიონეთი და იწყობა ერწო, წყლით იყო დაფარული და ხალხი სცხოვრებდა ტბის გარეშემო მთებზედ. ბაღიაანთ მთაზედ (პატარა გორაკაა იორის პირზედ ს. თიონეთთან) იყო გაშენებული სოფელი. მცხოვრებლებს ერთხელ ცეცხლი გაუქრათ; მეორე გორაკაზედ, სადაც სცხოვრებდნენ მდევები, გაგზავნეს დიაკვანი ცეცხლის მოსატანად. დიაკვანმა კარებიდგან ყური დაუგდო მდევების ლაპარაკს და გაიგონა შემდეგი: ამ ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს, ამ წყალს გზას მისცემდა და უფრო ფართოდ იცხოვრებდა, მაგრამ რისთვის ვასწავლოთ, დეე, იტანჯოს. აბა, როგორ,— ჰკითხა მეორემ.

ნი ეს: აი მაღლა მთაზედ სხოვრობენ ორნი დაძმანი თინათინ და იორამ. ამათ რომ ივინი დახოცონ და მათი სისხლი ამ წყალში გაურიონ, მაშინ წყალს გზა მიეცემა. ამ დროს უცებ შედის დიაკვანი და სთხოვს ცეცხლს. მდევები შესწუხდებიან, ვაი თუ ამ კაცმა ჩვენი ნალაპარაკევი გაიგონა და, რომ არავისთვის ეთქვა, მას მოსჭრეს ენა, ის კი არ იცოდენ, რომ მან წერა იცოდა. მივიდა თუ არა ენა მოჭრილი დიაკვანი სოფელში, მოითხოვა საწერკალამი, დაწერა მდევების ნალაპარაკევი. ხალხმა გაიგო თუ არა ეს, მაშინვე შეუდგა ამის აღსრულებას—დახოცა თინათინ და იორამ, მათი სისხლი ჩაუშვა წყალში; ტბა გაიხსნა ბოკონის მთასთან და მალე დაიწრიტა. დარჩა ვაკე ადგილი და ერთი მდინარე. ამიტომ ადგილს უწოდეს თიონეთი (თინათინ) მდინარეს—იორი (იორამი). დღესაც ამ გორაკების გარშემო მოგზაური ნიშნავს ნასახლარებს, დანგრეულ კოშკებს, გალავნებს, დანგრეულ ეკლესიებს, რომლებიც მოწმობენ, რომ აქ ერთ დროს ღვიოდა სიცოცხლე.

თიონელები მისდევენ უფრო ხვნა-თესვას და საქონლის გაშენებას. შედარებით ეკონომიური ცხოვრება თიონელისა უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ქართლელისა. ეს მით კი არ აიხსნება, ვითომ თიონელი კაცი ან დიდი მხნე იყვეს და ან გამჭრიახი გონებისა. არა, მით, რომ იგი ყოფილა სახელმწიფო გლეხი, რომელსაც ბატონყმობის უღელი ქართლელივით კისრით არ უტარებია... თიონელ კაცს იქნება სწავლის სურვილიც ჰქონდეს, მაგრამ ბევრი მიზეზები უშლიან მას ხელს. აქ სკოლას დაუკარგავს თვისი რწმუნება და ავტორიტეტი. ოთხ-ხუთს ადგილას ყოფილა ამ მაზრაში სკოლა: თვით თიონეთში, არტანში, ერწოში და ჩარგალში; სამწუხაროდ, ყველგან ჩანელებულა სკოლები და მხოლოდ ს. თიონეთში ბჟუტავს. ამ სკოლებს, ჩემის აზრით, ზარალის მეტი არა მოუტანიათ რა, რადგან სწავლა-განათლების მსვლელობა ჭეშმარიტ და ნამდვილ გზაზედ არ ყოფილა დაყენებული. მის მაგიერ, რომ სკოლას ამ კერპ ხალხისთვის სწავლისადმი სურვილი აღეძრა და ჩაენერგა, აღუძრავს ხალხში სიძულილი სწავლისადმი. მართალია, ქრისტიანობა აქ დიდი ხანია დანერგულია და სიტყვა «ქრისტიანობა» დიდათ სწამთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კერპული ჩვეულებანი უფრო უმეტესობენ და ქრისტიანობა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ბევრია იმისთანა კაცი, რომელიც თავის სიცოცხლეში ეკლესიაში არა ყოფილა და არც მიდის. რაც უნდა დიდი საუფლო დღე იყვეს, მაგ., აღდგომა, ამაღლება, შობა და სხვ. ეკლესიაში ორ კაცს ვერ ნახავთ. ეკლესიების სამაგიეროდ ხალხს აქვს პატარა სამლოცველოები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთათვის, ვგონებ, საინტერესო იქნება, გავაცნოთ მათ, თუ ვინ არის «ხევის-ბერი», რა მნიშვნელობა და გავლენა აქვსთ მათ ხალხზედ და ან რა ზარალი მოაქვს? «ხევის-ბერობა» ხალხში ძველადგანვე არის დარჩენილი. ერთ დროს, ისტორიულად რომ გავშინჯოთ, «ხევის-ბერებს» ჰქონიათ ხალხში დიდი ხმა და გავლენა. როდესაც ჩვენ ტანჯულ ქვეყანას ყოველ მხრიდგან მტრები ურყევდნენ მშვიდობიანობას, და მუსრამდნენ ქრისტიანობის კვალს, დევნული ქრისტიანები, მომეტებულად მთის ხალხი, თვის შორის ირჩევდა კეთილ-მორწმუნე, საიმედო და სინიდისიან კაცებს და აბარებდა მათ ეკკლესიის საუნჯეს, *) ვიდრე ქვეყანა დამშვიდდებოდა. ესენი მტკიცედ ასრულებდნენ ქრისტიანულ სჯულს. ულოცავდნენ ხალხს კვირა-უქმე დღეებში და უხსნიდნენ მათ ქრისტიანულ წესებს, როგორც მათ თვითონ ესმოდათ. ამისთანა კაცებს, ადვილად წარმოსადგენია, ექნებოდათ ხალხისაგან დიდი პატივის ცემა და ყოველ შემთხვევაში, ჭირში თუ ლხინში მათთვის უნდა მიემართათ. რასაკვირველია, ამისთანა კაცების მნიშვნელობა და სახელი ხალხში მალე არ გაჰქრებოდა და მისი (ხევის-ბერის) სახელი ხალხის თვალში რჩებოდა ღირსეულად. საუბედუროდ, დღეს «ხევის-ბერობა» რაღაც ხელობად—პროფესიად გარდაუქცევიათ. «ხევის-ბერი» არის ექსპლოატატორი, მატყუარა, ზნეობის და სარწმუნოების დამამცირებელი და ცრუ-მორწმუნეობის გამავრცელებელი კაცი. «ხევის-ბერობას» ან «დეკანოზობას» აი როგორ იღებენ: მსურველი განგებ მოიავათმყოფებს თავს და გაბუტულივით რამდენსამე დღეს დაიარება კერპების ახლო. შემდეგ უცხადებს ყველას, რომ სიზმარში მასს გამოეცხადა ესა და ეს წმიდანი, რომელმაც აუხსნა, რომ იგი შველას არ მიიღებს, უკეთუ თავის თავს არ შესწირავს მასს და «დეკანოზად ან ხევის-ბერად» არ დარჩება. შემდეგ მიიყვანს იგი კუროს, რამდენსამე ცხვარს იმ საკერპოში, სადაც უნდა იყვეს «ხევის-ბერად». აქ შეიკრიბებიან ყველა «დეკანოზები და ხევის-ბერნი». აქ ეს ახალი კანდიდატი იძლევა შემდეგ დიდ ფიცს და აღთქმას: არა სჭამოს თავის დღეში ღორის ხორცი, ქათამი და კვერცხი და განეშოროს თავის მეუღლას. უფროსი «დეკანოზი» დაკლამს მიყვანილ მსხვერპლს, წაუკითხავს «კანდიდატს» თავიანთებურ ლოცვას და შემდეგ სხვა ცერემონიების'აა უკურთხებენ მხარ-ხელს კანდიდატს,—ე. ი., მიყვანილი ზვარაკის სისხლით უსხურებენ ჯვარედინათ პირისახეს და მარჯვენა მხარ-ხელს—ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ ხევის-ბერის მეტს დღეობაში ვერავის შეუძლიან დაჰკლას საკლავი და გაუჭრას ქადა—მლოცავს. გარდა ამისა ხევის-ბერები ხან-და-ხან კიდეც ცრუ-წინასწარმეტყველობენ ხოლმე რომელიმე საკერპოსთან. აქ დიდის ვედრებით შეეხვეწებიან ხევის-ბერს, რომ მან გამოჰკითხოს წმინდანს (უფრო წმ. გიორგის), თუ რა შეემთხვევათ მათ მომავალ წელს?... ხევის-ბერი ჯერ უარს ჰყოფს—გაინაზება. შემდეგ დიდის თხოვნისა იწყებს ღმენჭას, იცემს გულში ორთავ ხელებს, ხან ქვას, მოჰყვება დიდ ღრიალს და პირში მოზდის ქაფი... ერთის შეხედულობით წარმოადგენს სახარებაში აღწერილს ეშმაკეულს (бѣсноватаго), ზოგს კიდეც დაუწყებს ხოლმე ცემას. მაგრამ ყველას შიშის ზარი აქვს დაცემული და კრინტსაც ვერავინ ვერ დასძრამს. როდესაც კარგად დასუსტდება და მოუძლურდება—ღონე მოცლილი დაეგდება დედა-მიწაზედ, როგორც უგრძნობელი. ამ დროს წარმოსთქვას რამდენსამე უაზრო სიტყვებს. ვითომ წმდის შთაგონებით, ხან უფრო წარმოსთქვამს ხოლმე ორ-აზროვან სიტყვებს დელფიის ორაკულივით. ხშირად ისმის ამისთანა სიტყვები: «უწმიდურებო, ნუ მიახლოვდებით ახლო... მსხვერპლი, მსხვერპლი... ნუ გალორდებით, ნუ დაჰკლავთ, გაუშვით, ხატი ბრძანებს» და სხვა... როგორც მკითხველი დაინახავს შემდეგ, ეს სიტყვები ხევის-ბერების სასარგებლოდ არის წარმოთქმულნი: იქ, საცა სალოცავები აქვსთ აშენებული, პატარ-პატარა ქოხებიც უდგიათ ხევის-ბერებს. წარმოიდგინეთ ხალხის უგუნურობა! თუმცა შიგ არაფერი ხატი არ უსვენიათ და ამ ქოხებში ხევის-ბერნი ლოთობენ და უსუფთაოთაც ინახვენ მათ, არავის არ შეუძლიან ფეხი შესდგას შიგ, თვით ტრაპეზზედაც წმიდათ მიაჩიიათ ეს ქოხი. ქალი ხომ ოთხმოც საჟენის ახლოს ვერ მიუახლოვდება ამ ქოხებს. პირველად, მისთვის უკრძალავენ ხალხს ამ ქოხებში შესვლას, რომ მათ უფრო დიდი შიში და პატივისცემა ჩაუნერგონ ხევის-ბერებისადმი. ასე რომ, ამ საკერპოში შესვლა შეეძლოთ მარტო ხევის-ბერებს, როგორც ხატისაგან აღმორჩეულ კაცებს; მეორედ, რადგან მარტო «ხევის-ბერთ» აქვსთ დაკვლის უფლება მიყვანილი კურატისა და ცხვრისა, ამიტომ იგინი დაკვლაში იღებენ ტყავს და ერთ ფეშხოს. დიდ დღესასრომლებშიაც აქვს კერპები. ამ სამლოცველოებში მიდის ხალხი ამ საუფლო დღეებში სალოცავად და აქ «ხევის ბერი» უსრულებს ხალხს ყოველ წესს.

*) დღევანდლამდე «ხევის-ბერების» ხელშია ძველებური ეკკლესიის ნივთები. ამაზედ მკითხველს შემდეგში დაწვრილებით მოველაპარაკები.

წაულებში, როცა ბევრი მლოცველებია, ტყავი და ხორციც ბევრი შემოსდით. ამას ყველას აქუჩებენ ამ ქოხში და შემდეგ იყოფენ. ხალხს რომ ნება ჰქონდეს ამ ქოხებში შესვლისა, ამ ტყავებს და ხორცს გაიტაც-გამოიტაცებდა და მათ ბევრი აღარა დარჩებოდათ რა. მკითხველი ეხლა მიხვდება ზევით მოყვანილ ქადაგის ჰაზრს, რისთვისაც ყველას უწმიდურებს ეძახიან ხევის-ბერები და უშლიან ხალხს ქოხთან მიახლოვებას. მეორე ჰაზრი: «ნუ დაჰკლავთ, გაუშვით». მლოცავს მკითხავის სიტყვით მიჰყავს კურატი დასაკლავად, მაგრამ თუ ხევის ბერს უიმისოდაც ბევრი ხორცი აქვს, ურჩევს მლოცველს, რომ მსხვერპლი არ დაჰკლას და ცოცხლად გაუშვას. გონებით ბრმა მლოცავი უჯერებს ხევის-ბერს და უშვებს ზვარაკს და ამ ფრად **15-20** კურატი უმგროვდება «ხევის-ბერს». შემდეგში, როცა ესურვებათ ხორცი, დაჰკვლენ და სოფლის «ყლაპია» კაცების თანადასწრებით შეექცევიან ხოლმე.

ყველაზედ შემაძრწუნებელი და მაზარალებელი ჩვეულობა არის ის, რომელსაც ხალხი უწოდებს «სახლის წმიდობას», ე. ი. მშობიარობის ანუ დედად წესის დროს ქალს სახლში არ შეუშვებენ. მათ განგებ აშენებული აქვსთ პატარ-პატარა ქოხები სახლის მოშორებით და რაც უნდა დიდი ზამთარი და ყინვა იყვეს, დედაკაცი იმ ქოხში იქნება გამოხიზნული; პირველნი—ექვს კვირას, მეორენი ერთს. როგორც შინაურნი აგრეთვე მეზობლობაც ისე ერიდებიან მშობიარეს, როგორც მკეთროვანს: სასმელ-საჭმელს შორიდგან აწვდიან. საბრალო დედამ მუდამ მარტოდ-მარტო უბებიოდ, უშემწეოდ უნდა მოიმშობიაროს და თავის ცოდვილს შვილსაც მოუაროს. ამ ბეჩაობას თუ როგორმე გაუძლო, სიცივე და ყინვა მაინც თავის ბეჭედს დაასვამს. ამიტომ ხშირად მჭვლის და ამ გვარი გაციების მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე მშობიარე ქალები. გასაკვირველია, საიდამ არის შემოღებული ეს ჩვეულება თიონეთის მაზრაში? ამისთანა ჩვეულება, როგორც მოგვითხრობენ მოგზაურნი, ყოველ ველურ ხალხში არის გავრცელებული, მაგ. ავსტრალიაში, ცეცხლის მიწის კუნძულზედ, **(огненная земля)** და სხ., სადაც დედა-კაცი უფრო დაჩაგრულია და უცქერიან ისე, როგორც ავის სულის ქმნილებას. ამისთანა ველური ჩვეულების ხსენება ჩვენ საქართველოს სხვა კუთხეებში, ვგონებ, არ არის და დღეს თუ ამ ცრუმორწმუნეობას ღრმად ხალხში ფესვი მოუდგამს და მისი აღმოფხვრა მეტად ძნელია, ეს «ხევის-ბერების» ბრალია; იგინი ყოველ შემთხვევაში არიგებენ და ასწავლიან ხალხს, რომ სახლი წმინდათ შეინახონ; ე. ი., როგორც ზევით ვსთქვით, ორსულობის დროს დედა-კაცი არ დააყენონ სახლში. მკითხავებიც ხშირად ეუბნებიან ხოლმე ხალხს, როდესაც ის გაჭირვების დროს მიმართავს მათ: «კოპალენ ან ლაშარის ჯვარი მეტად გიწყრებათ, რადგან სახლი გაგიუწმიდურებიათო».

ხალხში ტყუილი მოწმობა, ფიცის გატეხა, ჯვარზედ და სახარებაზედ ტყუილი ფიცის მიღება ადვილად ხდება და მეტად ხშირი მოვლენაა. ესეც «ხევის-ბერების» და ზოგიერთი ვაჭბატონების წყალობით. რა არის ფიცი?! ეუბნებიან მოსყიდულს, უმეცარ მოწამეს. მართალია, ცოდვაა, მაგრამ თუ ერთ ცხვარს დაუკლამ ამა და ამ წმიდას, ის გიპატიებს, ის გამოგიხსნის ამ ცოდვისაგან...

ახალი სოფლის მღვდელი იოსებ კოშორიძე.

## დ. ზ უ გ დ ი დ ი დ ა მ.

(მატყუარა ახალ-გაზდა)

მაისის **16**-ს, ხუთშაბათს, შუადღის პირველს საათზე, მე მივდიოდი მეზობლისას, სადაც დაპატიჟებული ვიყავი სადილათ; გზაზედ მე შემემთხვა ერთი საყურადღებო ამბავი: ჯერ კიდევ ჩემს ალაყაფის კარებთან არ ვიყავი მისული, რომ მე შევხედე ერთს ვიღაც უცნობ—ახალ-გაზდა ყმაწვილ კაცს, რომელიც იდგა ერთ ადგილს და თვალებშიდ შემომცქეროდა. ეზოს კარები შევაღე თუ არა, ამ კაცმან მძიმედ თავი დამიკრა, მეც მივესალმე. შემდეგ მისალმებისა მე ვკითხე მას: რა გნებავსთქო? მან მიპასუხა: არაფერიო! ისევ ხელ ახლად ვკითხე, მაინც! ვინ გნებავსთ, ან ვის დაეძებთ? მითხრა: მე ბატონებმა გამომგზავნა თქვენსასო. მე ვკითხე: ვინ ბატონებია? «პატონ ეფიში კოჩი ვორექი», (ბატონების კაცი ვარ) «პატონეფი» მეგრულად ყვავილსა ჰქვიან. მე დიდხანს ვერ მოვედი გონზე, თუ რომელ ბატონებზედ ლაპარაკობდა ეს კაცი. ისევ ვკითხე: ბატონებს სახელი რა ჰქვიან, ან რომელი ბატონებია თქვა? არა! მათ სახელს ვერ გავამხელ, რადგანაც მათგან ნება არა მაქვს მოცემული. ცოტა არ იყოს შემეშინდა და ვიფიქრე: ეს კაცი სწორედ სულელია და კარგათ რომ დავაკვირდი, თვალ-წინ წარმომიდგა ფერ-მიხდილი და ახალ-ნაავათმყოფარი ოც-და-ხუთი წლის ჭაბუკი, რომელიც პატიოსნათ

იყო ჩაცმული, მაგრამ ფეხებზე კი არაფერი ეცვა. ბოლოს მითხრა მან: კიდევ ვერ მიხვდით, თუ რომელ ბატონებზე ვამბობ? ხომ ხედამთ, ფეხ-შიშველი დავეხეტებით! ისინი ნებას არ მაძლევენ, რომ ფეხ ჩაცმული ვიაროო. ეხლა კი მივხვდი, რომ ის ცრუ მქადაგებელი იყო, მაგრამ მაინც ჩემი გული დავამშვიდე და ვკითხე: რომელი სოფლისა ხართ? მან მითხრა: ს. ჭახათიდანა ვაროო. (ს. ჭახათი ზუგდიდის მაზრაშია, რვა ვერსტზე, დასავლეთის მხრით) სახელი რა ქვიან და რა გვარი ხარ? მითხრა: «ივანე» სახელი მქვიან და გვარათ «შედანია» ვაროო. ბოლოს დაიწყო აგრე: «მე ბატონებს ვემსახურები აგერ ხუთი წელიწადია და მათთან დავდივაროო. ეხლა მათ დამისახელეს ამ ზუგდიდშიდ მხოლოდ ოთხი შეძლებული სახლი, ამ თქვენის სახლითურთ; სამი ოჯახი მოვიარე და თითომ ორ-ორი მანეთი გაუგზავნა ბატონებს და თქვენც უნდა აჩუქოთ ორი მანეთი. მე უთხარი: «ნაკლები, ან მეტი არ გაიგზვნება? არა! მაშ სურვილზედ არ არის? მე იმათ მიბრძანეს ორ-ორი მანეთის ნაკლებ არც ერთი არ გამოგისტუმრებენო, ჩვენ აქედგან ვიცითო, და თუმც ნაკლები შეგაძლიონ, არ წამოიღოო, რადგანაც ისინი კარგა შეძლებულნი არიანო. ისინი, დაიწყო მან, ღარიბებისაგან არასფერს ღებულობენო. მე ვკითხე: რომელია ის სამი სახლი, რომლის პატრონებმან ორ-ორი მანეთით დაგასაჩუქრესთქო?—იმათი დასახელება, მითხრა მან, არ შეიძლება! და რომ ვსთქვა, იმ საათში ბატონები შებრძანდება მათსას. მე სრულიად გავათავისუფლე ის ოჯახი ბატონების შეყრისაგან მისთვის, რომ ძლიერ კარგათ მიმიღეს და პატივი-მცეს. შვიდი მოსახლე კაცი გადავარჩინე სიკვდილისაგან ჩემს სოფელშიო. რომელსაც მინდა შევყრი ბატონებს და ცოცხალს არ გადავარჩენო. ამ წელს გარდა ხუთი წელი კიდევ ვრჩებით ამ არემარეში და შემდეგ დიდხანს არ დავბრუნდებითო. ამის შემდეგ მე უთხარი მას: მაშ წამოდით შინ, ერთი მანეთი ჯიბიდგან ვუჩვენე, მანეთსაც მოგიმატებ და გაგისტუმრებთქო. რასაკვირველია, გამომზდია შინ. შინ რომ შევიყვანე, უთხარი, რომ დამჯდარიყო. ნება არა მაქვს დაჯდომისაო, სთქვა მან. მიბოძეთ ორი მანეთი, დაგლოცავთ და ჩემს გზას გაუდგებიო; ეხლავე თქვა და ოთახებიდგან გამოვიწვიე კაცი და ქალი და უთხარი მატყუარას ისევ მოჰყევი: ვინ გამოგაგზავნა; მოჰყვა და განიმეორა თავისი სიცრუე. გულმა აღარ მომითმინა და მაგრა მოვკიდე ხელი და უთხარი: მაზრის უფროსთან უნდა წაგიყვანოთქო; ის გამომყვა უკან და წავიყვანე მაზრის სასამართლოში. ნახევარი ვერსტი გავიარეთ; ცოტა მიკლდა სასამართლომდის, როცა ხელიდამ გამისხლტდა, ტყეშიდ შევარდა და მსწრაფლ დაიმალა. როცა შინ დავბრუნდი, შევიტყვე ის სამი ოჯახი, სადაც მისულიყო და ორ-ორი მანეთი ეთხოვა, მაგრამ ვერაფერი საჩუქარი ამ სახლებიდამ ვერ მიეღო.

ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ მატყუარა ახალგაზდას ყველამ ყურადღება მიაქციოს, რომ თავისი დახელოვნებული ენით საწყალი და გაუნათლებელი ხალხი არ გაფცქვნას.

გ. ჯიქია.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! 24 ივნისს მე ვიყავი ძლიერ ავათ ცხელებით. გავგზავნე კაცი ყვირილის აფთეკაში წამალზე და, წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება, როდესაც გავიგე, რომ აფთეკარს თითო აბაზი გამოერთმია თითო პარაშოკ ხინაში. ძლიერ გავკვირდი და კიდეც გავცეცხლდი. მე, მღვდელს, თუ ასე მექცევიან, რას უზამენ საწყალ გლეხებს, რომელთაც არაფერი იციან! იმედია, რომ ამისთანა ბოროტებას ყურადღებას მიაქცევენ, ვისიც რიგია.

მღვდელი გერასიმე ხუსკივაძე.

ტყუილად შეწუხებულხართ, მამაო გერასიმე, და ტყუილად გაცეცხლებულხართ. ერთი შაურის საღირალი წამლის მანეთად გაყიდვას კანონიც ნებას აძლევს აფთექრებს. ერთი პარაშოკი, რომელშიც ხუთი პურის მარცვლის წონა ქინა-ქინა არის, აფთექარს უღირს ხუთ კაპეიკად, მაგრამ ორ ხუთ კაპეიკს მეტს გარდაგახდევინებს. რატომ, იცით? ქინაქინა მან შუშიდამ ამოიღო, აწონა, ქაღალდში ჩაჰყარა, მერმე დააწერა ზევით და დაბეჭდა. ამდენი შრომა ხუმრობა საქმეა! იმას საათის მუშაობაში თუმანი ეძლევა. მანეთის წამალში იღებს ოთხს და ხუთს მანეთს. კანონიც ნებას აძლევს... თქვენ შრომასავით იაფათ კი არ არის დაფასებული აფთექრების შრომა და დრო!... ჩვენ ადვილად შეგვიძლია, რომ ავსცილდეთ ასე ძვირათ წამლების სყიდვას, თუ მოვიმდომებთ. თუ როგორ შეიძლება ეს, ამაზე შემდეგ №-ში მოველაპარაკები მკითხველებს და თქვენც.

რედაქტორი.

## ერთი მედავითნის საჩივარი.

მედავითნეთა მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა სანატრელი და ეხლა ხომ სულ აღარა ღირს სამსახური ამ თანამდებობაში. ვინც განწესდა მიტროპოლიტის დროს, შემდეგ ეპისკოპოზებმა დაითხოვეს და სხვები განაწესეს მათ ადგილზე. ვინც განწესებულ იყო ზერმანეს ეპისკოპოზობის დროს, შემდეგ ისეებიც დაითხოვეს. ამ ბოლოს დროს ვინც განწესებულ იქნა სასულიერო მთავრობისაგან მთავარ-დიაკვნის მ. ტ. ტყეშელაშვილის გამოცდით, ისინიც ხეირიანად არ არიან დამაგრებულნი თავიანთ ადგილებზე. ყოველ პირს შეუძლია შეიტანოს სასულიერო მთავრობასთან თხოვნა და ითხოვოს, რომ ამა და ამ ეკკლესიის მედავითნე სუსტია და მე გამაჯიბრეთო. მაშინვე იბარებენ ამ საწყალ მედავითნეს და აჭერინებენ ეკზამენს იმ პირთან, რომელსაც ახლად აქვს შესწავლილი ტიბიკონი და, რა გასაკვირველია, რომ წინეთ ნასწავლს მედავითნეს ისე დაწვლილებით არ ეცოდინოს ტიბიკონი, როგორც ახლად ნასწავლს. ეკზამენის შემდეგ დიდი ხნის ნამსახურებ მედავითნეს ეუბნებიან: «შენ ყველიერის ოთხშაბათის და პარასკევის ტიბიკონი კარგად არ გცოდნიაო». ამით გათავდა შენი საქმე! სოფლებში კი არა ქალაქებშიაც არ სწირვენ მღვდლები ამ დღეებში, რადგან სახარება არ უჩენს რიგს ამ დღეებშიო!..

ახლა სხვა გამომცდელი გვყავს, რომელმაც ისე იცის ტიბიკონი, როგორც წინანდელმა. არა, რატომ მარტო ჩვენზე შემოიღეს ესეთი წესი? ზანა ცოტანი არიან ისეთი მღვდლები, რომლებიც ხელ დასხმულ არიან უწინდელი ეპისკოპოზისაგან და რომლებსაც ბევრი მედავითნენი სჯობიან? რამდენი მღვდელია, რომელნიც თვალით კარგად ვერ ხედავენ და ხელები ისე უკანკალებსთ, რომ ბარძიმფეშხუმის ხელში ჭერაც არ შეუძლიათ? რატომ ამისთანა მღვდლების დათხოვნა კი არ შეიძლება თანამდებობიდამ სუსტი ცოდნისა გამო? რატომ ზოგიერთ სემინარიელებსაც არ გააჯიბრებენ ზოგიერთ მღვდლებს და პირველთ არ მისცემენ მათ ადგილებს? ნეტავი როდის იქნება ბოლო მოელოს მედავითნეთა ამისთანა წესს-წყობილობას და დამკვიდრებული ვიქმნეთ ჩვენს ადგილებზე—და ჩვენს გამოცდასაც ხეირიანი მიმართულება მიეცეს?

ახლა უნდა იცოდე, მკითხველო, თუ რა შური და მტრობა იბადება იმ პირთ შორის, რომლებიც ითხოვენ, რომ რომელიმე მედავითნის თანამდებობაზე დამტკიცებული პირი დაიბარონ და მასთან გამოცადონ. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, თუ რა მწარეა კაცის უბრალოდ ადგილიდამ დათხოვნა და ლუკმა პურის საშუალების მოსპობა.

ერთი მედავითნე.

---

## პირობანი მწყემსთა და სამწყსოთა ურთი-ერთ შორის მშვიდობიანობისა.

ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მწყემსთა და მათ სამრეველოთა შორის ბევრგან არ არსებობს ისეთი ხეირიანი განწყობილება, რომელიც არ ითხოვდეს გაუმჯობესობას. ყველგან ვერ შეხვდებით ისეთ ბედნიერ კუთხეს, სადაც მწყემსსა და სამწყსოს შორის არსებობდეს ნამდვილი თანხმობა და მშვიდობა. ბევრგან ხან სამღვდელოება უჩივის სამწყსოს და ხან ეს უკანასკნელი პირველს. მაგრამ ეს უთანხმოება მღვდელსა და მის სამრევლოს შორის არც ისე ხშირია, როგორც ზოგს ჰგონია. ერთი-ორი მაგალითით ზოგნი ამტკიცებენ, რომ 1000 კაცში ერთმა ეგებ სთქვას, რომ იგი კმაყოფილია თავის მოძღვრისა. აგრეთვე რამოდენიმე ეკკლესის კრებულში ეგებ ერთმა სთქვას, რომ იგი კმაყოფილია თავის მრევლის და ამ მრევლის შემოსავლით. ეს მოსაზრება მეტად გადამეტებულია, მაგრამ არც ცოტა სიმართლეს არის მოკლებული.

ამ მოსაზრების მიმდევართ მწყემსის და მისი მრევლის შორის არა სანატრელი დამოკიდებულების მიზეზად გამოჰყავთ ის ჩვეულება, რომლის ძალით სამღვდელოება თავისი მღვდელ-მოქმედების სასყიდლად იღებს სამრევლოსაგან ფულს ანუ ხორაგს და არ უსრულებს მრევლს ყოველივე წესს უფასოდ. ამიტომ ეს პირნი გაიძახიან: «სამღვდელოებას და სამრევლოს შორის დამყარდება მამა-შვილური სიყვარული მაშინ, როდესაც სამღვდელოება თვისი მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად არ აიღებს სასყიდელს მრევლისაგან».

მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს რჩევა ისეთი ჯარის, რომ მისი აღსრულება არაფერ ხეირიან დამოკიდებულებას არ დაბადებს სამღვდელოებას და სამრევლოს შორის და ამასთან საქმითაც შეუძლებელია ამ ჩვეულების მოსპობა. თუ ყოველივე უბედურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელსა და მრევლს შორის ხდება მის გამო, რომ სამღვდელოება თავის მღვდელ-მოქმედებისათვის სასყიდელს იღებს სამრევლოსაგან, მაშინ ყველგან შეუძლებელი იქნებოდა მღვდელსა და მრევლს შორის ყოფილიყო ხეირიანი დამოკიდებულება, რადგან ერთსა და იმავე მიზეზს მოსდევს ერთნაირი შედეგი. მაგრამ მისი თქმა, რომ სამღვდელოებას და მათ სამრევლოს შორის არსად არ არსებობდეს ხეირიანი დამოკიდებულება, არ შეიძლება. ნაცვლად ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ ნამდვილი მამა-შვილური დამოკიდებულება მღვდელს და მრევლს შორის ბევრგან არსებობდეს. რატომ არის ეს ასე? მთელს საქართველოში მართლ-მადიდებელი სამღვდელოება თავის მღვდელ-მოქმედების სასყიდლად იღებს თავის მრევლისაგან ფულს ანუ ხორაგს. რატომ ხდება, რომ ერთი და იგივე ჩვეულება ერთგან ახდენს არა სანატრელ დამოკიდებულებას სამღვდელოებას და მის სამრევლოს შორის და მეორეგან არა?

Პირველი და ერთად ერთი უმთავრესი მიზეზი სამღვდელოებას და სამრევლოს შორის არა მამა-შვილური დამოკიდებულებისა არ არის ის ჩვეულება, რომლის ძალით სამღვდელოება თავის შრომისთვის სამრევლოსაგან იღებს სასყიდელს, არამედ ამ ჩვეულების ბოროტად მოხმარება. როგორც გინდათ გასინჯეთ ეს ჩვეულება, მასში არ არის ისეთი რამე, რომელიც უჩვეულებრივო, საუგო და საწყენი იყოს სამღვდელოებისთვის ანუ სამრევლოსთვის. Თუ კიმართალია ის ჭეშმარიტება, რომ ყოველივე შრომა შესაფერად უნდა იქმნეს დაჯილდოებული მისგან, ვისთვისაც ამ შრომას სჩადიან, მაშინ ეს ჩვეულებაც კანონიერი იქმნება; ან ვინ არის ამის წინააღმდეგი? სამრევლოსთვის, რომელიც სარგებლობს თავისი მოძღვრის შრომით, აუცილებლად საჭიროა შეძლებისა და გვარად დააჯილდოვოს მღვდელი; აგრეთვე მღვდლისთვის, რომელიც სამრევლოსთვის შრომობს, სასირცხო არ არის მიიღოს საშრომელი მისგან, ვისთვისაც შრომობს. Ამფერ მღვდლის შრომის დაჯილდოებას მტკიცე საფუძველი აქვს მთელს ძველს და ახალს აღთქმაში და თვითონ მრევლიც არა სთვლის ამ ჩვეულებას თავის დამღუპველად და ძვირიდ მომხდარა, რომ სადმე მრევლს ამ ჩვეულების წინააღმდეგ ხმა ამოეღოს. ხალხი მხოლოდ წინააღმდეგი არის მღვდელ-მოქმედების სასყიდლის ვაჭრობისა და კანონით დადებულ სასყიდელზე მეტის აღებისა. მაგრამ ზოგიერთი მოძღვრების ამგვარ მოქმედებას ვინ აქებს და ან კანონიერად რაცხს? Ეს მღვდელ-მოქმედებისთვის ვაჭრობა და კანონით დაწესებულ სასყიდელზე მეტის აღება არის მიზეზი მღვდლესა და მის მრევლს შორის არა მამა-შვილური დამოკიდებულებისა. Ეს ვაჭრობა იწვევს მღვდელსა და მრევლს შორის უსიამოვნებას, რომელიც იწვევს მათს შორის უთანხმოებას და ხშირად ერთმანეთზე საჩივარს. მთლად რომ გადახედოთ სასულიერო კანცელარიების არხივები, ვერ ნახავთ მათში ისეთ საჩივრებს, რომლებშიდაც მრევლი ჩიოდეს, რომ მღვდლისგან მისი მღვდელ-მოქმედებისთვის საფასის აღება უკანონო იყოს; და ისეთ საჩივრებს, რომლებშიდაც მღვდელს უჩივან კანონით დაწესებულ სასყიდელზე მეტის აღებას და ვაჭრობას, ათასობით შეხვდებით. დამტკიცებულია, რომ მრევლი კანონიერად რაცხს, როდესაც მისი მოძღვარი თავის მღვდელ-მოქმედებისთვის ართმევს სამწყსოს კანონიერ სასყიდელს და სამრევლოსთვის არც სამძიმოა ეს. ნაცვლად ამისა, მრევლი უკმაყოფილოდ რჩება, როცა მოძღვარი მას უარს ეუბნება სასყიდლის მიღებაზე. Და რომ სთქვას კაცმა, ეს სასყიდელი ისე ცოტა არის, რომ სამღვდელოებას თავისი მიწა-წყალი არა ჰქონდეს და თავის მუშაობით არ ირჩენდეს თავს, ისე ცხოვრება არც კი შეეძლებოდა. მღვდელ-მოქმედების უმთავრესი სასყიდელი არ აღემატება რამოდენიმე კაპეიკს და ორ-სამ მანეთს და ძვირად შეიდ მ.; მაგრამ ამ უკანასკნელი სასყიდლის აღებაც ბევრჯელ არ შეხვდება მღვდელს მთელს წელიწადში. Და რადგან მღვდელს არ ჰყოფნის მრევლისაგან კანონიერი შემოსავალი, ამიტომ იმართება ვაჭრობა და მაზანდით დადებულზე მეტის აღება. Თუმც მრევლისაგან კანონიერი შემოსავალი არ ჰყოფნის სამღვდელოებას, მაგრამ ეს უკანასკნელი როგორმე უნდა დასჯერდეს მასს, ან ორში ერთი უნდა ირჩიოს: ან მაზანდით დაწესებულზე რამდენიმე კაპიკით და მანეთით მეტი აიღოს, ამით სხვაზე უკეთ იცხოვროს, მაგრამ ამავე დროს იქმნეს მოკლებული იმ სიყვარულს და პატივის ცემას, რომლითაც უნდა სარგებლობდეს ის სამრევლოსაგან და იქმნეს დევნილ ამ უკანასკნელთაგან, ან იქმნეს კმაყოფილი იმ ცოტა შემოსავლითაც და ჰქონდეს მამა-შვილური განწყობილება თავის მრევლთან. მაგრამ, საუბედუროდ, მღვდლობის ხარისხის მიღების დროს ბევრი არ ფიქრობს ამაზე და ცხოვრებაში ამ მოსაზრებას ყველა თავისებურად ხსნის და ამიტომაც ისინი, ვინც პირველ მოსაზრებას მისდევენ აღარ უნდა სწუხდენ, თუ მათ მრევლი უჩივა და პატივს არა სცემს, რადგან მათ თავდაპირველად იცოდენ, თუ რა შედეგი ექნებოდა მაზანდით და-

დებულზე მეტის ალებას თავის მღვდელ-მოქმედების დასაჯილდოებლად. იცოდნენ მათ აგრეთვე, რომ მღვდლობის მოვალეობა დიდია და მასთან შემოსავალიც ძალიან ნაკლები და თუ მაინც და მაინც მიიღეს მღვდლობა, ალბათ გადასწყვიტეს, რომ მოეთმინათ სიღარიბე და ამიტომ მათ არ შეუძლიათ საჩივარი არა ვისზე. ამისთანა მღვდლებს არა აქვსთ უფლება უკმაყოფილება განაცხადონ თავის მდგომარეობაზე.

(დასასრული შემდეგში).

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

### «მარტირიკა» თხზულება ანტონ I. კათოლიკოზისა.

მარტირიკა ეკუთვნის ქართულს ისტორიულს თხზულებათ. დაწერილია ის მე-XVIII საუკუნეში საქართველოს გამოჩენილი კათოლიკოზის ანტონ პირველისაგან. ამ წიგნის შინაარსი შესდგება ქართველ წმიდა მამათა ცხოვრების აღწერისაგან. ამ წიგნში აწერილია ბევრი წმიდანი, რომელთაც საქართველოს ეკკლესია დღესაც იხსენიებს. წმიდანები, რომელთაც ცხოვრება აწერილია მარტირიკაში, არიან შემდეგნი: არჩილ მეფე, წმიდა მ. აბიბოსი, ბობრონ ქართველი, რაჟდენ, შუშანიკა, აბო, თბილისში ვნებული, კონსტანტინე მთავარი, დავით და კონსტანტინე, არგვეთის მთავარნი და სხვანი ბევრი მოწამენი, რომელნიც ეწამნენ თბილისში, (ამ წმიდანების ცხოვრების აღწერა გამოიცა ზ. ჭიჭინაძისაგან 1883 წელში, სახელად «საქართველოს ოხრება», მაგრამ მოხსენებული არ არის ის, თუ ეს აღწერა ეკუთვნის კათოლიკოზს ანტონ I.), მეფე ლუარსაბ მეორე, წმ. მღვდელ-მოწამე ნეოფიტე ურბნელი, იამბიკონი საზოგადოთ ქართველთა, სომეხთ წმიდა მამა მთავარი გრიგორი, წილკნის მთავარ ეპისკოპოზი, ჩხეილნი ბეთლემს მოწყვეტილნი, ჯვართ ამაღლება, იოსებ ალავერდელი, წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, წამება წმ. ეკატერინასი, მარინესი, შიო მღვიმელი, ანდერძი დედისა მეფეთ-მეფისა დავით აღმაშენებელისა და ათთა სხვა და სხვა მოწამეთა ცხოვრება.

ეს წიგნი შესდგება 327 გვერდისაგან, დაწერილია ნუსხურის წმიდა ხელით ძველებური ქაღალდის თაბახის მეოთხედზე. ეს თხზულება უფრო ლიტერატურული და უფრო ადვილი გასაგონი ენით არის დაწერილი, ვინემ სხვა თხზულებანი ანტონ კათოლიკოზისა.

რაც შეეხება თხზულების შინაარსის სინამდვილეს, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველივე ცნობა ამ თხზულებაში მოხსენებულ პირთა შესახებ, გამოკრებილია ქართული ძველი ისტორიული წიგნებიდამ, რომელთა ავტორების სახელებსაც უჩვენებს. ავტორი უჩვენებს აგრეთვე, თუ რომელი წიგნისაგან რა უსარგებლია. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნის შედგენის დროს ავტორს უკუუგდია ყოველივე ზეპირ გადმოცემული ცრუ მოთხრობანი თხზულებაში მოხსენებულთ პირთ ცხოვრების აღწერის შესახებ და უხელმძღვანია ისტორიული ნამდვილი ფაქტებით; ამ ხრით ეს წიგნი ბევრ ისტორიულის წიგნებისაგან გაირჩევა თავისი შინაარსის სინამდვილით. წიგნში ყოველს წმიდანის ცხოვრების აღწერას მოსდევს შესაფერი იამბიკო,

ამ თხზულების შინაარსი გვიხატავს საქართველოს ეკკლესიის და პოლიტიკურს მდგომარეობას. მართლაც, ამ წიგნში ბევრი ისეთი ცნობებია, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონებიათ საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობასთან. ამიტომ უსარგებლო არ იქნებოდა, რომ ეს წიგნი გამოცემულიყო. ამ წიგნიდამ ორი ადგილია გადმობეჭდილი ბ. ჩუბინოვის ქართულის ქრისტომატიის I და II ნაწილებში.

დღემდე რაც იყო, იყო; ეხლა მაინც რიგია, გამოჩნდეს ისეთი პირი, რომელმაც ამ წიგნის გამოცემა იდვას თავზე; მით უმეტეს, რომ ეს წიგნი ძალიან სასარგებლო იქნება იმ პირთათვის, რომელნიც საქართველოს ისტორიის შესწავლას მისდევენ. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ არც გამომცემი იზარალებს, რადგან «მარტირიკას» ყოველი ქართველი დიდის სიამოვნებით წაიკითხავს.

ამ წიგნის გამოცემა სასარგებლო იქნება იმიტომაც, რომ ანტონ კათოლიკოზის ნაწერებში, რომელნიც შეეხებიან ჩვენი საქართველოს ეკკლესიის ისტორიას, დარჩენილა მხოლოდ «მარტირიკა» და ამიტომ სასურველია, რომ ვინმემ მიიღოს თავისთავზე ამ წიგნის გამოცემა დროით, რადგან ამ წიგნის ეგზემპლიარები ძალიან ცოტანი მოიძებნებიან დღეს ჩვენში და შემდეგში, შეიძლება, კიდეც ვეღარ ვიშოვნოთ მისი ეგზემპლიარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### უკანასკნელი სიტყვა მამაკვდავისა.

ცოტა ხნის შემდგომ მეც მოვშორდები
ამ ქვეყანასა, წუთის სოფელსა;
ოხ! სული მხდება, ტანჯვითა ვკდები,
მალე ვშორდები ჩემს სამშობლოსა.

—

თქვენ ნუ იწუხებთ სიკვდილსა ჩემსა,
მხოლოდ ეხვეწეთ მაღალსა ღმერთსა,
რომ სული ჩემი იქ დაამკვიდროს,
სადაც მართალი განისვენებსა.

—

ვხედავ ჩემს დღესა გარდასულია,
მოდით, მიშველეთ და მომიარეთ;
მზე მიბნელდება, მიმდის გულია
და თქვენ კი გტოვებთ აქ მგლოვიარეთ.

—

ვისთანაც ვიყო მე დამნაშავე,
გთხოვთ მაპატიოთ შეცდომილება.
ამ ტანჯვის მეტი აქ მე ვერ ვპოვე
და თან მიმყვება ეს მწუხარება,

—

თქვენც ხომ ერთ დროში სტუმრათ მეწვევით,
იქ დავმყარდებით საერთო წრესა
და ჩვენის უფლის მართლ-მსაჯულებით
განსჯილ ვიქნებით აღდგომის დღესა.

—

თქვენ ის იფიქრეთ, მით ინუგეშეთ,
რომ მარტო ჩემზე არ ხდება ესა;
ყოველ კაცის თავს არს გადუალი,
მაშ მე რათ ვსწუხვარ სიკვდილის დღესა?

—

მე მით ვსწუხდები სიკვდილის დროსა,
როს მოვიგონებ იმ ქვეყნის დღესა,
როს გული ჩემი აქ ნეტარებდა
და ეხლა ვტოვებ წუთის სოფელსა.

—

თუმცა ერთი დღე ყოველ კაცს ხვდება,
მოვა სიკვდილი, უეცრად კვდება,
მაგრამ მას ვსწუხვარ, რომ ვარ ოცი წლის
და სიყმაწვილე მსწრაფლათ მიჭკნება.

—

როს მოვიგონებ ბუნების სახეს,
ის გულში მიგებს მე ცეცხლის მახეს,
წელ-გული მწყდება, ჭაზრიც მიმდის
და ველარ ითმენს ეს სული ამდენს.

—

მშვიდობით, დედი, მივალ ჩემ გზასა,
კიდეც ვიშორებ საერთო ვალსა,
შენ ნუ დაიწყებ ჩემზე იმ ჯავრსა,
რომელიც მისცემს შენს თავს ზარალსა.

—

ის ჰქონდეს გულში, რომ ყველა კვდება,
ხომ ჩემზე მარტო ეს არა ხდება?
მხოლოდ გთხოვ, დედი, არ დამივიწყო
და ჩემს საფლავზე მოსვლა დაიწყო.

—

ამ სიტყვებითა, დედი, გშორდები
და წუთის სოფელს მე ვეთხოვები,
მაგრამ მას უფრო ყველაზე ვსწუხვარ,
რომ მტრის საცინლად თქვენ ეხლა ხდებით.

—

ძმაო, დაგტოვე მარტო მტირალი
მე საუკუნოთ ვიქმენ შემწყრალი,
ყოველ კაცთათვის ვარ შესაბრალი;
ეს არის მხოლოდ სიკვდილის ბრალი.

—

გიტოვებ, ძმაო, უზღვავ ქონებას,
თუ შენ შეიძლებ იმის მოვლასა,
შენც ინუგეშე, სხვაც ანუგეშე
და ასე წაჭამ შენც ამ დროებას.

—

ამ სიტყვებითა ვშორდებით ჩვენცა,
რადგან სიკვდილი უეცრათ მეცა.
აჰა! იმხნევე და ინუგეშე
ბოლოს ერთ დროსა იქ მოხვალ შენცა.

—

ძმანო და დანო, ყველას გშორდებით,
მე საუკუნოთ ნუღარ მომელით,
თქვენ ნუ იწუხებთ სიკვდილსა ჩემსა,
ყველა იქ მოხვალთ; ყველა მოჰკვდებით,

—

და სხვათა შორის მას გეხვეწებით,
რომ ისარგებლოთ ჩემი სიტყვებით,
რასაც ქვევითა მე თქვენ მოგითხრობთ,
რომ ჩაიმარხოთ გულშიდა მაგრათ:

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გულის პასუხს სხვას ნუ უმცხადებ,
დასადუმ ორმოს სხვას ნუ უმზადებ
და რასაც კეთილ საქმეს იწადებ
ასრულებამდინ ნუ დაიქადებ.

—

ცრუ საქმით უფალს არ ახსენებდე,
კეთილი საქმით თავს იმშვენებდე
და მაგ კეთილი შენი საქმითა
შენ თავს სიწმინდეს სხვას უჩვენებდე.

—

შენი სისხლისთვის მუდამ ზრუნავდე,
გაეც წყალობა, ღარიბს ნახავდე
თქვენ ამ ჩემ სიტყვებს გულს იმარხავდეთ
და ამის შემდეგ ვეღარ მნახამდეთ.

დ. ბას—შვილი.

# მატიანე

## საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების.

გორის სამოსწავლო სემინარიაში წელს 27-მა ახალგაზდამ დაასრულა სწავლა; ამათში ცამეტი ქართველები არიან და მომეტებულმა ამათგანმა უკვე დაიჭირა ადგილები საქართველოს სხვა და სხვა მხრის სასოფლო სკოლებში.

***

ტფილისის პირველს გიმნაზიაში წელს 34 მოწაფეს გაუთავებია კურსი. მათ შორის 11 ქართველი, 11 რუსი, 10 სომეხი, 1 პოლშელი და 1 თათარი. უმთავრესი ჯილდო ოქროს მედალი მიუღია ქართველს კონსტანტინე დავითაშვილს.

***

რეალურს სასწავლებელში 19 მოწაფეს გაუთავებია კურსი. ცხრა ღარიბი მოწაფისათვის მიუციათ სამოწაფო ფონდიდამ შემწეობა 100—240 მან. ზოგიერთა მათგანს ჰსურთ შევიდენ ხარკოვში ახლად დაარსებულ ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში.

***

წლეულს ქუთაისის გიმნაზიაში 25-ს ყმაწვილს დაუსრულებია კურსი და მათ შორის რვას ვერ მიუღია მოწიფულობის ატესტატი. ამ 25-ში 1 ბერძენია, 6 რუსი და 18 ქართველი. აი, ქართველთა გვარები: ლევან ანდრონიკაშვილი, ვასილ ახვლედიანი, ივანე ღულაძე, იოსებ ჯაფარიძე, ათანასე ჯვარისეიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, გიორგი ლორთქიფანიძე, ზაქარია მაჭავარიანი, კონსტანტინე მესხი, დიმიტრი ნოდია, იოსებ ოცხელი, ალექსანდრე საყვარელიძე, გერასიმე თათუზოვი, მიხაილ ხელთუფლიშვილი, სვიმონ ჭეიშვილი, მიხეილ ჭანთურია და ანტონ მდიგაროვი.

***

ზოგიერთი პრიჩეტნიკები შემოგვჩივიან, რომ გაზეთს «მწყემსს» ვერ ვშოობთ საკითხავადო. თუმცა მოგვდის ეკკლესიაზედო, მაგრამ მღვდლებს შინ მიაქვსთ და ერთ თვესაც ვერ ვნახავთ თვალითო. იმედია, რომ ამისთანა საჩივრები აღარ მოგვივა შემდეგში. კრებულის სახელზე მიდის ხშირად «მწყემსი» და კრებულის წევრს შეადგენს პრიჩეტნიკიც; ორივეს უფლება აქვს წაიკითხონ და ისარგებლონ.

## უბრალო მღ. ნ. ხუციშვილს.

ჩვენს პასუხს წაიკითხავდნენ ჩვენი მკითხველები და, იმედია, შენიშნავდნენ ჩვენ სიმართლეს და სიმტყუნეს. პატიოსნება და სიმართლე მოითხოვს, რომ რასაც ამბობენ შენზე მეორე გაზეთში, არ დაუფარო ის მკითხველებს. ორი კაცის ბჭობისაგან მკითხველი გამოიყვანს თავის დასკვნას და მიხვდება, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ამისათვის მოვიყვანეთ ჩვენ «მწყემსში» ხუციშვილის პასუხი და მასაც ესევე ვსთხოვე, მაგრამ ხუციშვილმა ვერ გაბედა ჩემი პასუხის გადაბეჭდვა «დროებაში. ვსთხოვეთ «დროების» რედაქციასაც, მაგრამ «დროების» რედაქციას ჩვეულებათ არა აქვს ყველა პირს მისცეს ნება «დროებაში» თავის გამართლებისა, რაც უნდა მართალი იყოს ეს პირი.

მიხვდა ხუციშვილი, რომ «დროებაში» დიდი ფასი აქვს მის ნაწერებს და «დროების» ორ ნომერში გააჭრელა კიდევ მეორე პასუხი. ხუციშვილს ჩვენი პასუხის კითხვები და ჩვენგან მოყვანილი ფაქტები სრულებით უყურადღებოდ დაუტოვებია, მოჰყოლია და რაღასაც ამბობს, თვითონ აღარ იცის. მართლაც, ამისთანა სიცხეში, და განსაკუთრებით ვისაც კიდევ მეორე სიცხე აწუხებს და რეტს უსხამს, რასაკვირველია, დაწყობილად ვერ ილაპარაკებს და ვერ დასწერს.

მოგვყავს შესანიშნავი და საყურადღებო ადგილები ხუციშვილის მეორე პასუხისაგან. სწერს მ. ხუციშვილი:

«შევედი საბანაოდ და თრთოლასაც უნდა გავუძლო, რა გაეწყობა».

ვინ ატანს, ნეტავი, ძალას, ან რაზედ იჭივრებს ეს კაცი საქმეს!

«ჩემი წერილი ძალიან გარკვევით იყო დაწერილი და სინამდვილითაც მასში ერთი იოტის ოდენა ტყუილი არ ყოფილა. დარწმუნდით, მ. დავით, რომ მე არა ვარ კუდ-ქიცინა მელია და ამ მელიების შეხედვაც ჭირივით მეზარება, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ უფრო მომეტებულად იმათ ვხედავ. მე არა ვარ იმ პირთაგანი, რომელნიც თქვენ ზურგს უკან სამარეს გითხრიან და ქვესკნელში გაძვრენენ და როდესაც პირის-პირ შეგეყრებიან, მიწაზედ თავს ურტყამენ, გაქებენ და შემონატრიან თქვენს ნიჭს».

თქვენი სიტყვების დაფასება საზოგადოთ მკითხველების საქმეა. ამისთანა თავის ქება კი სირცხვილია. ამისთანა ენის მოტიტინება სირცხვილია და ჩვენთვის საჭირო არ არის. შმტრო კაცი—მკვდარია.

ჩემი გული არ არის გაპოხილი მლიქვნელობითა, ჩემში არ არის არაფერი დაფარული და ამიტომაც პირ-და-პირ, საქვეყნოდ ვაჩვენებ თქვენს ნაკლულევანებას. თქვენს ადგილს რომ სხვა ყოფილიყო, კი არ უნდა გაველანძღე, მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის ამ ნაკლულევანების ჩვენებისთვის.

სამღრთო წერილში სწერია: ვინც იტყვის, ცოდვა არა მაქვსო, ის ყველაზე უცოდვილესია. ნამეტანი თავის ქებაა. მე ცილს შეგწამებ, უზრდელად ვილაპარაკებო და შენ მადლობა მითხარიო! ძარგია შენმა მზემ... რომელი ნაკლულევანება მიჩვენეთ? რატომ არ ასახელებთ?

ესეც იცოდეთ, მ. დავით, რომ ზრდილობიანი და პატიოსნური-ქცევა უფრო ძნელია, ვიდრე უზდელი და უპატიოსნო.

ჰე მამაცხონებულო, შენ რომ ზრდილობიანი ლაპარაკი გეძნელებოდეს, ამისათვის უნდა ლანძღო სხვა?... სრული თანახმა ვართ, რომ თქვენთვის ზრდილობიანი და პატიოსნური ქცევა ძნელია!...

«მე საშინლად მიკვირს, თუ რამ გაიძულათ, მამაო დავით, რომ ამდენს ლაპარაკობთ წინააღმდეგ ჩემის წერილისა,

ბევრს ნაჩერჩეტებს, ბევრი გასამტყუნებელი წერა სჭირდება!..

დღესაც განცვიფრებისაგან შეპყრობილი ვარ, თუ რატომ შემდეგს თქვენის «მწყემსის» ნომერში ან მეორეში და ან მესამეში, ალთქმისამებრ თქვენისა, არ დასწერეთ არაფერი ყრილობის დაწვრილებითს მოქმედებაზედ ჩემის თავს-მჯდომარეობის».

ვაი თუ სხვა რამესაგანაც იყო შეპყრობილი! თქვენგან კრების შეგენილი ჟურნალები ჯერეთაც კიდევ არ გადუციათ კანცელარიაში და უამ ჟურნალებოთ ანგარიშის დაწერა არ შეიძლება. ამის შესახებ კიდეც ვსწერდით ჩვენ «მწყემსის» დამატების მე 3 №-ში, მაგრამ თქვენ, თუმც იწერთ ჩვენს გამოცემას, მაგრამ არ წაგიკითხავსთ, ისე როგორც სხვას არაფერს კითხულობთ, როგორც ერთი უბრალო მღვდელი.

«მ. დავით! ნუ თუ უარს-ჰყოფთ თქვენს წერილს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელთან, რომელზედაც რეცოლიუციაც აწერია იანვრის 21-დამ იმა 1885 წლისა, რომელ წერილშიაც ეხვეწებით «მწყემსის» გამოწერის თაობაზედ»

სრულებით უარს ვყოფ, რომ ეპისკოპოზს ჰქონდეს ჩემგან მიწერილი წერილი, «მწყემსი» ძალით გამოაწერიეთ სამღვდელოებას-მეთქი. ეს არის თქვენი საზიზღარი ცილის წამება. წერილი მაქვს მიწერილი, მაგრამ აი რა სწერია იმ წერილში: «წარსულ წელში თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას, სურდა, რომ ნება მიგეცათ სამღვდელოებისათვის ეკკლესიის ფულით გამოეწერათ «მწყემსი», მაგრამ მე გთხოვეთ თქვენ, რომ არ მოგეხდინათ ამისთანა განკარგულება, რადგან მსურდა შემეტყო, თუ სამღვდელოება რა თანაგრძნობით მიეგებებოდა სასულიერო ორგანს. ეს ჩემთვის მომავალი დროისათვის საჭირო იყო. წარსულ წელში დავრწმუნდი მე, რომ თუმცა სურვილი ბევრს აქვს და უნდათ გამოწერა, მაგრამ შეუძლებლობა ბევრს აბრკოლებს; ეს სჩანს იქიდამ, რომ ბევრმა გამოიწერა «მწყემსი» წარსულ წელში და ფულები დღესაც ვერ შემოუტანიათ. ბევრი თხოულობს, რომ მიეცესთ ნება ეკკლესიის საშუალებით გამოიწერონ ისე, როგორც სხვა რუსულ სასულიერო გამოცემაებს იწერენ რუსეთში, და დღეს თუ ინებებთ, გთხოვთ მისცეთ გაზეთის გამოწერის ნება ეკკლესიის საშუალებით, იმისთანა მღვდლებს, რომელთაც სურთ კითხვა «მწყემსისა, მაგრამ საშუალება ნებას არ აძლევსთ». სად არის აქ ძალადობა? სად არის აქ სიმართლე თქვენი ცილის წამებისა? სწორედ მართალს ამბობთ, რომ თქვენთვის პატიოსნური ქცევა საძნელოა!...

«თქვენ გინდათ რომ თქვენს მეტი კაცი. არ იყოს ქვეყანაზედ, თორემ რამ გაიძულათ ჩემი თავს-მჯდომარეობის დროს შენიშნვის დაწერა?

მამაო ნიკოლოზ! სიცხე ხომ არა გაქვსთ? ძარაბადინი წაიკითხეთ და იხმარეთ რამე საშუალება...

მე და თქვენ რომ ერთ ყრილობაში ერთად კენჭი გვიყარეს, თქვენ გაგათეთრეს და მე გამაშავეს, მაშინვე დავსწერდი თქვენზედ იმისთანა შენიშნვას, როგორიც თქვენ დასწერეთ ჩემზედ, უმეტესსაც.

ვინ მოგიშალა მერე დაწერა? რატომ არაფერი

დასწერე? მაგრამ იმას ხომ არ დასწერდით, გამაშავესო!.. სხვა რა გქონდათ დასაწერი?!..

«თქვენ ხომ მემკვიდრეობით არა გრგებიათ, მ. დავით, ყოველთვის თავს-მჯდომარეობა. თქვენ არ იცით, რომ ჩვენი ცხოვრება კიბის მსგავსია, ერთი ვინმე რომ ავა კიბეზედ, სულ იქ ხომ არ უნდა იჯდეს, როდისმე უნდა ჩამოვიდეს და ან სულ ერთმა ხომ არ უნდა იაროს ამ კიბეზედ, დაიღალება; ის რომ ჩამოვა, მერე სხვა ავა.

არ მჯერა, რომ ნამეტანი სიცხე არ გაწუხებდესთ. რამდენჯერ ვითხოვე ყრილობაზე, რომ სხვა აერჩიათ ვინმე თავს-მჯდომარედ, არ გახსოვთ? მომყავს დეპუტატები ამ ჩემი ნათქვამის მოწმად. კიბეზე ასვლა-ჩამოსვლას, მართლა, სამასწავლებლო სემინარიაში ასწავლიან და თქვენ გეცოდინებათ კარგად!.. ,,კიბეო, ასვლაო, და ჩამოსვლაო‟. სწორეთ ვერ გაგვიგია!...

«მამაო დავით, მე საშინლად გაკვირვებული ვარ, როდესაც ამისთანა ცილისწამებას ამბობთ, რომ ვითომც, მე ს—ლოებას ხელით ავეყვანე და გარედ გამოვეყანე კრებიდგან».

არასოდეს არ მითქვამს, ხელით მაღლა აგიყვანესდა გარეთ გამოგაბრძანეს მეთქი. გიბრძანეს გარეთ გასვლა და გადით. მეტი რა გზა გქონდა?!..

«თუმცა ნება მქონდა დავრჩენილიყავ და კიდეც მელაპარაკნა, მაგრამ აღარ ვიკადრე იქ დარჩენა და წამოვედი.

ალბათ არ იყო ჯერეთ კიბე ცარიელი, რომ მაღლა მოქცეოდი!..

«მე არა მაქვს ხასიათი, რომ ძალით შევიდე იქ, სადაც ჩემი საქმე არ არის»...

კეთილი და პატიოსანი. რა მიგახეტებს კაცს იქ, სადაც შენი საქმე არ არის. სწორეთ მართალს ბრძანებთ!...

«მართალია, არა ვფიცავ, რომ ვიყავი ძიების ქვეშ».

ჰე მამაცხონებულო, შენ რომ დაფიცო, მით განა საქმე დაიფარება?!..

«ბლაღოჩინად არ ვყოფილვარ და არცა ვარ».

ვინ მოგცემს შენ ბლაღოჩინობას? განა თქვენისთანაებს აძლევენ ბლაღოჩინობას?

«არ მიქნია ქურდობა, ცილი არავისთვის დამიწამებია და საზოგადოდ ცუდ საქმეში არ გავსულვარ.»

უნდა დაგვემატებიათ: ,,და არ მიყვარს სმა.‟ ნეტავი თქვენ! იმიტომაც მოექეცით ცხოვრების კიბეს წვეროში! უკანასკნელი, უბრალო მღვდელი კი არა, თურმე პირველი ყოფილხართ და ჩვენ კი არ გვცოდნია!

«შემდეგ ამისა ჩემი ლაპარაკი იქნება წყალის ნაყვა».

გარწმუნებთ, რომ თქვენი ლაპარაკი და წერა დღემდინაც წყლის ნაყვა იყო.

«ამისთვის თქვენთან ლაპარაკს სრულიად თავს განებებ».

აქნობამდინაც რომ თავი დაგენებებიათ, კარგს იზამდით; მაგრამ სხვებმაც აგაგულიანეს და ჩაგაგდეს ამისთანა გაჭირვებაში!..

შემდეგ გაუფრთხილდი შენ თავს მაინც, თორემ ისინი, ვინც გაქეზებდნენ ამდენ ჯღაბნას, კიბის წვეროდან ჩამოვარდნილს საცინლად აგიგდებენ.

თოთხმეტი წლის განმავლობაში თითქმის თავს-მჯდომარედ მირჩევდნენ, მაგრამ ერთჯერ არსად მითქვამს ამის შესახებ. თქვენ კი, დალოცვილო, ყურები გამოგვიყრუეთ წერით და ყვირილით: შეიტყვეთ, თავს-მჯდომარედ ამირჩიესო!.. ამ მიზანის და შურიანობის მეტი თქვენს პოლემიკას არა ჰქონდა რა სახეში, და ეს ხომ აშკარად დამტკიცდა? მე მრცხვენია თქვენ მაგიერ, მ. ნიკოლოზ, თქვენი ქცევისა. საშრომელი ბევრია, ეცადე, გაფრთხილდი, თუ არ გინდა, რომ სულ უბრალო, უკანასკნელ მღვდლად დარჩე.

მართალია, სამასწავლებლო სემინარიას სახეში არა აქვს მოწაფეების სამღვდელოდ მომზადება და, რასაკვირველია, თქვენც არა ხართ რიგიანად მომზადებული, როგორც აშკარად სჩანს თქვენი სიტყვებიდამ, მაგრამ გამოცდილებასაც ბევრი შეუძლია, თუ მოიმდომებს კაცი და თუ ეცდება... შემდეგ გაუფრთხილდი თავს და მოიქეცით ისე, როგორც შეფერობს პატიოსანს მღვდელს...

მღვ. დავით ღამბაშიძე.

---

## ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ქალაქ დუშეთის წ-ის ნიკოლოზის ეკკლესიის კურთხევაზედ 1885 წ., მაისის 19-ს, მღვდლის გიორგი ასათიანისაგან.

«ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა»
(ფსალ. 117, 24).

ძველ დროშივე კურთხევა ტაძრისა იყო დიდი სასიხარულო დღე იმ ერისათვის, რომელიც აშენებდა ანუ განაახლებდა ღვთის ტაძარსა. მოვიგონოთ, თუ როგორ ბისონით მოსილი მეფე და წინასწარმეტყველი დავით როკვიდა წინაშე აღთქმის კიდობნისა, როდესაც ის მიჰქონდათ მღვდელთა სიონის მთაზედ მისთვის მომზადებულ ძვირ-ფასს კარავში დასადგმელად; მოვიგონოთ სოლომონ ბრძნისაგან აღშენებული იერუსალიმის ტაძრის კურთხევა, თუ როგორ დიდათ იდღესასწაულეს ისრაელთა ერმა და სხვანი...

მსგავსადვე ამისა კურთხევა ქრისტიანულ ტაძრისა ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება საეკკლესიო და საერო დღესასწაულად. ამ გვარის დიდებულის კურთხევის მისაბამველ მაგალითს ჩვენ ვხედავთ მეოთხე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნშივე ქრისტეს დაბადების შემდეგ, როდესაც კონსტანტინე დიდმა იერუსალიმის ტაძრის საკურთხებლად მოიწვია მთელი ტიროსის კრება და ვასილ დიდმა თავის ეკკლესიის საკურთხებლად მოიწვია ყველა ეპისკოპოზნი, რომელნიც კი იმ მხარეში იყვნენ.

ამისთვის იყო და არის ქრისტიანული ტაძრის კურთხევა სასიხარულო, რომ მორწმუნე ქრისტიანე ამ ნაკურთხ ტაძარში იღებდა ყოველი უმაღლესი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იღებს სულიერსა საჭმელსა და სასმელსა, ესე იგი, განმაცხოველებელსა სიტყვასა ღვთისასა და ცხოველს მყოფელს ხორცსა და სისხლსა ძისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესსა; აქ მორწმუნე ქრისტიანე პოულობს საზოგადო სამლოცველო ალაგს, აქ ადიდებს ერთითა პირითა და ერთითა გულითა ერთსა ღმერთსა, სამებით დიდებულსა და აქ განათლდება ის საიდუმლოებითა...

თავის წმიდა დანიშნულების გარდა ქრისტიანეთ ტაძართა ჰქონდათ კიდევ მეორე დანიშნულება: იგინი იყვნენ კაცის გონებითი და ზნეობითი განათლების და განვითარების სადგურად. ამისთვის ყოველ ტაძრებთან აშენებდნენ სასწავლებლებს, საიდგანაც გამოდიოდნენ განვითარებულნი ქრისტიანენი, მომზადებულნი გასავრცელებლად ქრისტეს სჯულისა და დასაცემად კერპებისა. მოვიგონოთ ალექსანდრიის სასწავლებელი, რომელიც აღშენდა ქრისტიანობის პირველ დროსვე და სადაც იყო, სხვათა შორის, სიტყვისა მებრ იერონიმისა, პირველ მასწავლებლად მოციქული მარკოზი; მოვიგონოთ კიდევ კონსტანტინე დიდი, რომელმაც აღაშენა ყოველ ეკკლესიასთან და მონასტერთან სასწავლებელნი და ვალად დაუდო სასულიერო წოდებას მისის მაგალითით ეხელმძღვანელა შემდეგში. ჩვენ საქართველოშიც მირიან მეფის ძემ ბაქარმან ყოველ ტაძრებთან და მონასტრებთან მსგავსად კონსტანტინე დიდისა აღაშენა სასწავლებელნი, სადაც სწავლობდნენ გარდა ქართულისა ასურულს და ბერძნულ ენებსაც.

როგორც საზოგადოდ ყველა ქრისტიანულ ერზედ ჰქონდა ტაძრების აშენებას და მათთან სკოლების დამართვას გავლენა ხულიერად და გონებრივ, აგრეთვე იქონია მან დიდი გავლენა ჩვენს ერზედაც. ქრისტიანობამ ჩვენი ერი აღმოიყვანა ღრმა სიბნელიდგან და დააყენა ჭეშმარიტ გზაზედ, რათა მან მიაწიოს უდიდეს ბედნიერებამდის.

რადგანაც ჩვენის ერის აღმატების მიზეზი ყოველთვის ყოფილა ტაძარი ღვთისა და, რადგანაც კურთხევა ტაძრისა ყოველთვის სიხარულით უდღესასწაულიათ ქრისტიანებსა,—ამისათვის ჩვენც გავიხაროთ დღეს მსგავსად დავით ფსალმუნთ-მგალობელისა და ერთ ხმად ღაღად ვყოთ: «ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა» მით მომეტებულად, რომ ამ ტაძრის აღშენება და კურთხევა მოგვაგონებს დროს ჩვენის წარსულის დიდებისასა, დროსა წმიდის ნინოსას, დროსა დავით აღმაშენებელისასა და დროსა ნეტარის თამარისას.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: «როგორ მოგვაგონებს ამ ტაძრის აღშენება და კურთხევა ჩვენთა სანეტაროთა წარსულთა დროთა? აი როგორა: ვით წმიდა ნინომ, სუსტმა ქმნილებამ, მაგრამ აღჭურვილმან სარწმუნოებით და ღვთის სიყვარულითა გამოიარა ტყენი და ღრენი, მთანი და ბარნი, გამოვლო მრავალნი მდინარენი და ტბის პირნი, ნახა შიში მხეცთა და ბარბაროსთაგან დასძლია ესე ყოველი, მოვიდა ჩვენში და შეწევნითა ღვთისათა, მფარველობითა ღვთის-მშობელისათა დასცა (კერპნი) არმაზი, გაცი, გაიმი და სხვანი ღმერთნი და გაავრცელა საქართველოში სარწმუნოება ქრისტესი; ვით მეფე მირიანმა, განათლებულმან წმიდის ნინოსაგან, მისის რჩევით სთხოვა საბერძნეთის მეფეს კონსტანტინე დიდს, რომ მას გამოეგზავნა მისთვის ხამღვდელონი და ხელოსანნი და კოსტანტინემაც მაშინვე სიხარულით წარმოუგზავნა საქართველოდ იოანე ეპისკოპოზი, მღვდელნი, აღმაშენებელნი ტაძრისანი, ჯვარნი, ლურსმანი, რითიც იყო მიმსჭვალული მაცხოვარი ჯვარზედა და ქრისტეს ჯვარზედ ფეხ დასადგმელი ფიცარი, ხატნი და სხვანი, რის შემდეგაც ნინო და მეფე დიდის ამალით წარმოვიდნენ ამ დუშეთისაკენ და ეს მხარეც მოაქციეს ქრისტეს სარწმუნოებაზედ და ყველგან აღაშენეს ტაძარნი ღვთისანი; ვით დავით აღმაშენებელმა მტერთაგან მოოხრებული საქართველო და ღვთის ტაძარნი კვლავ აღაყვავილნა და აღაშენა და ვით თამარმან სანეტარომან, რომლის დროსაც ყოველს ქართველს მამულის შვილს ეჭირა ცალ-ხელში ხმალი და მეორეში წიგნი, აღაშენა ყოველ ქალაქსა და სოფელსა დიდებულნი ტაძარნი და მათთან სკოლანი და მით უკვდავჰყო დასასრულამდე ამა ტაძართა თვისი დიდება, ეგრეთვე ამ დიდებულის ტაძრის აღმშენებელთაც მიიღეს არა მცირედი შრომა და ტანჯვა, განსაკუთრებით ზურაბ მოროთულაძემ, თამარ კვალიევისამ, სოლომონ ზანდუკელმა და ნეტარხსენებულმა ჩვენმა მამულის საყვარელმა შვილმა და ფილოსოფოსმა პლატონ იოსელიანმა, რომელსაც ეკუთვნის პირველი ჰაზრი ამ ტაძრის აღშენებისა, მეუღლე ანამ. ამათ, ნახეს რა უღონოება დუშეთის მოქალაქეთა ტაძრის სისრულეში მოყვანისათვის, აღარ დაზოგეს არც თავიანთი ქონება და არც შრომა. მოიგონეს მაცხოვრის სიტყვა. «ითხოვდით და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით და გაგეღოს თქვენ», მიმოვლეს ქალაქიდან ქალაქად და სოფლიდან სოფლად, შეჰკრიბეს გროშობით და აღგვიშენეს ეს ტაძარი.

მით უფრო სასიხარულოა ეს დღე ჩვენთვის, რომ დღეს ჩვენ ეს ტაძარი გვარწმუნებს, რომ დღემდის კიდევ არ გამქრალა საქართველოში და არ შერყეულა მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება, თუმცა მან გამოიარა მრავალი ტანჯვა; რომ დღემდის მხნეობა ჩვენთა დედათა იგივეა, რაც ძველ დროს იყო—ამას იქით უფრო გაძლიერდება, როგორც სარწმუნოება, აგრეთვე მხნეობა ჩვენში. რადგანაც ეხლა, როგორც ისრაილები სოლომონ ბრძნის ხელში ცხოვრებდენ მშვიდროთ თავიანთ ლეღოვანში და ყურძნოვანში, ჩვენ ჩვენის საყვარლის თანამორწმუნის ხელმწიფის ალექსანდრე ალექსანდრის ძის ხელში ვართ მშვიდროდ და მოსვენებაში ყველა უწინდელ მტრისაგან, ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ და გვრწამდეს, რო ჩვენი მომავალნი და განსაკუთრებით დედანი ეცდებიან აღაშენონ საღმთო ტაძრებთან სამეცნიერო ტაძარნიც, რომლებიც ეხლანდელ დროში შეადგენენ უსაჭიროეს მოთხოვნილებას მთელს კაცობრიობისას და განსაკუთრებით ჩვენის ერისას. განსაკუთრებით უფრო დედების იმედი მისთვის უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი საქართველო, როგორც წილხდომილი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა, დაჩვეულია გაბედნიერებას დედებთაგანა.

საყვარელნო ძმანო და დანო, ეს ტაძარი ჩვენ თვალწინ გვიხატავს ჩვენის ქვეყნის წარსულსაც. აბა, მიხედეთ ამ წმიდა ხატთა, ვის წარმოგვიდგენენ ესენი? არიან წამებულნი სარწმუნოებისათვის და მამულისათვის ქეთევან, ლუარსაბ, და არჩილ. ეს წმიდანები გვაგონებენ ერთის მხრით იმ ტანჯვას, რომელშიაც იყვნენ ჩავარდნილნი ჩვენი წინაპარნი ურჯულოთაგან მამულის და სარწმუნოებისათვის და მეორეს მხრით, იმ მხნე ქართველთა, რომელთაც მიიღეს მრავალნი ტანჯვანი, მაგრამ არ უღალატეს არ მამულს და არც სარწმუნოებასა. ესენი თავიანთ ტანჯვით ამხნევებდენ ერს და მტერი ვერა რას აკლებდა. ამათ ახსოვდათ, როგორი ტანჯვა მიიღო მაცხოვარმა ქვეყნის დასახსნელად ეშმაკის მონებისაგან და ესენიც აღარ ზოგავდენ თავიანთ თავს, უარს ჰყოფდენ ყოველ დიდებას, დაშორებულ ურჯულოთაგან, სარწმუნოების გასამტკიცებლად და მამულის გამოსახსნელად იღებდენ მრავალ ფერთა ტანჯვათა და პირზედ ღიმილით მიხოცებოდენ მტარვალების ხელით იმ სიხარულით და რწმენით, რომ თავიანთ სისხლით დაიხსნიდენ თავიანთ სამშობლოს მტრის ხელიდგანა და მიიღებდენ ქვეყნისთვის ტანჯულს მაცხოვრისაგან უხრწნელებისა გვირგვინსა. ესენი უნდა იყვნენ, ძმანო ჩემნო, ჩვენში მასწავლებელნი და ჩვენნი მაგალითნი.

ჰსრე, ძენო ივერიისნო, ვიხაროთ და ვიდღესასწაულოთ ამ დიდებულის ტაძრის კურთხევა! პატივი ვსცეთ კეთილ კრძალულებით წმინდასა ამა ალაგსა! რათა იქმნეს ალაგი ესე ნაკურთხი ამიერიდგან და უკუნისამდე; მადლობა შევსწიროთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა, რომელმაც აღმოირჩია და აკურთხა ალაგი ესე! ვევედრნეთ მაცხოვარსა ნაყოფის შემომწირველთათვის და კეთილის მყოფელთა წმინდისა ყოვლად პატიოსნისა ამის ტაძრისა და რათა მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისათა, ვედრებითა წმ. მღვდელთ მთავარისა ნიკოლოზისათა, წმიდისა დიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისათა, ღირსისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთ განმანათლებელისათა, წმიდათა მოწამეთა: ქეთევან, ლუარსაბ და არჩილისათა *) დაამტკიცოს ალაგი ესე საცხოვრებელად თვისსა, ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა. «ამინ».

## საყურადღებო განცხადება.

ჩასაოცარია, რომ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას ერთი ტიბიკონი და ერთი ქამნი აქვს, მაგრამ ყველგან ერთად არ სრულდება უქმე დღეების დღესასწაულობა. ერთ დღეს რომ ერთ ადგილას აღდესასწაულებენ მრევლს თავიანთი მოძღვრები, ამავე დღეს სხვა სამრევლოში ხალხი მუშაობს და არც მღვდელი წირავს. ხალხს უნდა იმუშაოს, მაგრამ სხვების მიმხედვარე, გულს იცრუებს მუშაობაზე და ხშირად მღვდლებს ცუდი სიტყვებით იხსენიებს. აი მაგალითებრ: 1) სული წმიდის მოფენის მეორე დღეს, 2) იოანნე მახარებელის დღეს, 3) იოანნე ნათლისმცემლის დაბადების დღეს, 4) წმიდა ნიკოლოზობის დღეს, 5) მთავარ-ანგელოზობის დღეს, 6) პირველ ოკტომბერს, 7) დიმიტრობას, 8) ზადიკობას და სხვა ამ გვარ დღეებში ერთი მღვდელი უცხადებს სამრევლოს იუქმონ, მეორე კი აძლევს მუშაობის ნებას. იმედი გვაქვს, რომ სასულიერო მთავრობა ერთ გზაზე დააყენებს როგორც სამღვდელოებას, აგრეთვე ხალხსაც, რომ ყველამ ნამდვილად იცოდეს, თუ რომელი დღე იუქმოს ხალხში და რომელი არა.

საჭყონდიდელი ალექსი ჭანტურაია.

*) ადგილობრივი ხატები.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: ცირკულიარული მიწერილობანი საქართველოს ეგზარხოსისა.—წესდება კავკასიაში მართლ მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა.—არა ოფიც. ნაწილი: ჩვენი ეკკლესიების შინაგანი და გარეგანი მორთულობანი.—მწარე ფიქრები.—ახალი სასულიერო კან. წესდების დაბეჭდვის შესახებ.—თიონეთიდამ.—ზუგდიდიდამ,—წერილები რედაქტორთან.—პირობანი მწყემსთა და სამწყსოთა შორის.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. — ლექსი. — მატიანე.—უბრალო, მღ. ნ. ხუციშვილს.—სიტყვა.—საყურადღებო განცხადება.

*Доз. цензурою Кутаисъ, Іюля 14, 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.